



ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის  
ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის  
ასოციირების შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის  
ასოციირების დღის წესრიგის განხორციელების

**2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების  
წლიური ანგარიში**

მარტი

2020

## სარჩევი

1.	ზოგადი მიმოხილვა.....	3
2.	პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში .....	5
3.	თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება.....	18
4.	ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები .....	23
5.	ეკონომიკური თანამშრომლობა.....	28
6.	თანამშრომლობა სხვა სფეროებში.....	31
7.	ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი.....	49
8.	ინსტიტუციური თანამშრომლობა.....	51

## 1. ზოგადი მიმოხილვა

ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ. წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2019 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.<sup>1</sup>

2019 წლის განმავლობაში ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ხელშეწყობისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ერთი სხდომა.

შემუშავდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა (RoadMap2EU), რომელიც მოწონებულ იქნა 1 მარტს გამართულ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომაზე და წარდგენილ იქნა 5 მარტს, ქ. ბრიუსელში გამართულ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომაზე, რომელსაც საქართველოს მხრიდან თავმჯდომარეობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო ევროპული მხრიდან ევროკომისიის პრეზიდენტი.

შემუშავდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საშუალოვადიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც 3 წლიან პერიოდზეა გათვლილი და მოიცავს 2019-2021 წლებს პერიოდში ევროკავშირთან ინტეგრაციის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს. გეგმაში გათვალისწინებულია არა მხოლოდ ასოცირების შეთანხმებითა და დღის წესრიგით ნაკისრ ვალდებულები, არამედ იგი ასევე მოიცავს „აღმოსავლეთ პარტნიორობის 20 შედეგი 2020 წლისათვის“ დოკუმენტში გაწერილ ვალდებულებებს და ასევე, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკით, ასოცირების შეთანხმების მიღმა ევროკავშირის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, რაც მას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს და ეხმიანება საქართველოს მთავრობის სურვილს, გასცდეს ასოცირების შეთანხმებას და მის მიღმა ევროკავშირთან უფრო ამბიციური და ღრმა ინტეგრაციისკენ გადადგას ნაბიჯები.

ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის ფარგლებში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის მიმართულებით, მათ შორის საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს „კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ“ (19.02.2019) და ასევე, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები აისახა საქართველოს „შრომის კოდექსში (ორგანული კანონი)“, საქართველოს კანონში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“ და საქართველოს კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“. ამასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა ასევე მიიღო ახალი საბაჟო კოდექსი

<sup>1</sup> ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილი სცილდება საანგარიშო პერიოდს

(28.06.19), კანონი „მედიაციის შესახებ“ (18.07.2019), „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ (20/07/2019), კანონი „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ (20.12.2019), კანონი "განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ" (20.12.2019), კანონი "ენერგეტიკისა და წყალმომარაგების" შესახებ (20.12.2019) და სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები. ასევე ცვლილებები შევიდა „საქართველოს საჰაერო კოდექსში“ (22.02.19), „სავტომობილო გზების შესახებ საქართველოს კანონში“ (26.06.19) და სხვა ნორმატულ საკანონმდებლო აქტებში.

ფუნქციონირებს ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების მონიტორინგის ელექტრონული პროგრამა და შესაბამისი ინტერნეტ-პორტალი (aa-monitoring.ge), რომელიც სისტემატიურად იხვეწება, როგორც ფუნქციონალურად, ასევე, შინაარსობრივი თვალსაზრისით. 2019 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება - GIZ-ის მხარდაჭერით განხორციელდა სისტემის განახლება და ფუნქციონალის გაძლიერება.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საქართველო - ევროკავშირის ასოცირების საბჭოს შეხვედრა; ასოცირების კომიტეტის შეხვედრა; ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის შეხვედრა; მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხთა ქვეკომიტეტის შეხვედრა; ვაჭრობის საკითხებზე (DCFTA) მომუშავე ქვეკომიტეტის შესაბამისი თემატური ჯგუფების და ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის შესაბამისი თემატური ჯგუფების შეხვედრები როგორც თბილისში, ასევე ბრიუსელში.

2019 წლის პირველ ნახევარში ქართული მხარის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში გამართულ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში (პლატფორმებისა და პანელის შეხვედრები, სემინარები, ვორქშოპები, მინისტერიალი).

საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი შესრულების მონიტორინგის პროცესში. სისტემატიურად იმართებოდა შეხვედრები აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ პლატფორმასა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის, ევროინტეგრაციის ფარგლებში მიმდინარე სექტორალური რეფორმების განხილვის მიზნით.

## 2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

### 2.1 მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა

2019 წლის 13 დეკემბერს სასამართლო რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში მომზადებულ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტი მესამე მოსმენით მიიღო პარლამენტმა. საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და მისი გამოქვეყნების ვალდებულება. აღნიშნული დასაბუთება უნდა შეიცავდეს პროცედურის აღწერასა და დანიშნული მოსამართლის დახასიათებას, მათ შორის, ინფორმაციას მის მიერ დაგროვებული ქულების შესახებ და დასკვნას კეთილსინდისიერების თაობაზე. დასაბუთებას ადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

საკანონმდებლო ცვლილებებით ახლებურად დარეგულირდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმები - განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტების კატეგორიები; გაფართოვდა იმ საკითხთა ჩამონათვალი, რომლის თაობაზეც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული იქნება ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებული წესები; დადგინდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაციის, ასევე სხდომაზე განსახილველი ნორმატიული აქტის პროექტის ვებგვერდზე განთავსების კონკრეტული ვადები; განისაზღვრა I და II ინსტანციის მოსამართლეთა უვადოდ განწესების, აგრეთვე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებისა და მისი გამოქვეყნების ვალდებულება; განისაზღვრა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილე პირთათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების შესაძლებლობა.

ზემოხსენებული ორგანული კანონით გაიწერა დისციპლინური გადაცდომების სახეები. ამასთან, დამოუკიდებელ ინსპექტორს, კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის, დისციპლინურ საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და საჩივრის განხილვაზე უარის თქმის უფლებამოსილება მიენიჭა. ასევე, დადგინდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადები და დამკვიდრდა მტკიცების სტანდარტები. საკუთარი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, დამოუკიდებელ ინსპექტორს სხვადასხვა მონაცემთა ბაზაზე წვდომის შესაძლებლობა მიეცა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა გამართა საჯარო ლექციები, რეგიონული ვიზიტები და შეხვედრები.

2019 წელს მედიაციის პილოტური პროექტი ამოქმედდა რუსთავის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებში. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაეკისრა სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების ვალდებულება. ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 27 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება „სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო მედიაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო საკითხებს და რომლითაც განისაზღვრა სასამართლო მედიაციის დანერგვის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა, სასამართლო მედიაციის ამოქმედების მიზნით საჭიროებების შესწავლა, მედიაციის ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა, სასამართლო მედიაციის შესახებ ცნობადობის ამაღლება და პროგრამის რეგულარული მონიტორინგის განხორციელება.

სასამართლო სისტემისა და ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერების მიზნით, 2018 წლის იანვრიდან საქართველოს ყველა სასამართლოში (სადაც ერთზე მეტი მოსამართლეა) მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება შემთხვევითი ელექტრონული განაწილების სისტემით. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მონიტორინგის განმახორციელებელი მენეჯმენტის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით, თანამდებობაზე აირჩია სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე. ელექტრონული განაწილების სისტემის დახვეწის მიზნით, დეპარტამენტის ფარგლებში მოქმედი საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფი ახორციელებს პროცესების ტექნიკურ მხარდაჭერას.

სასამართლო რეფორმის ე.წ. “მეოთხე ტალღის” ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით უზრუნველყოფილია იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებლობა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა მიღების პროცესის ახლებური წესი. კერძოდ, იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსის ჩატარების უფლებამოსილება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს მიენიჭება. ამასთან, დამოუკიდებელ საბჭოს დაეკისრება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელის ჩარიცხვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება.

ცვლილებები ეხება სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტების წესსაც. დამოუკიდებელი საბჭო შეიქმნება 7 წევრის შემადგენლობით, ნაცვლად 6-ისა. დამოუკიდებელი საბჭოს 3 წევრს, რომლებიც საერთო სასამართლოების სამივე ინსტანციიდან წარმოდგენილი



მოსამართლეები იქნებიან, აირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია. იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ორ (ერთი მოსამართლე და ერთი არამოსამართლე) წევრს, დანარჩენ ორ წევრს კი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არანაკლებ სამი წევრის წარდგინებით, აკადემიური წრებიდან აირჩევს.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების 2019 წლის პროგრამის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა ტრენინგი თუ სემინარი ადამიანის უფლებების, კორუფციასთან დაკავშირებულ საქმეთა ეფექტიანი განხილვის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის თემატიკაზე.

თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაეკისრა სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების ვალდებულება. ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 27 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება „სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო მედიაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო საკითხებს და რომლითაც განისაზღვრა სასამართლო მედიაციის დანერგვის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა, სასამართლო მედიაციის ამოქმედების მიზნით საჭიროებების შესწავლა, მედიაციის ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა, სასამართლო მედიაციის შესახებ ცნობადობის ამაღლება და პროგრამის რეგულარული მონიტორინგის განხორციელება.

ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში შემუშავდა უზენაესი სასამართლოს სამოქმედო გეგმა 2019 წლისთვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სამსახური თანამშრომლობს ევროკავშირის და ევროპის საბჭოს პროექტებთან, რომლის ფარგლებში განახლდა და დაინერგა შემდეგი ფორმები: „სტამბოლის კონვენციის“ შესაბამისად გენდერული სტატისტიკის მონაცემების შეგროვება, ასევე კონვენციის შესაბამისად გამოცემული დამცავი ორდერებისა და გასაჩივრებული შემაკავებელი ორდერების მიხედვით გენდერული სტატისტიკის წარმოება ძალადობის ყველა ფორმის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები, დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებზე მონაცემები.

საერთო სასამართლოების ინფრასტრუქტურის შუამდგომლობის საჭიროებებზე მორგების მიზნით, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მოამზადა დასკვნა/ანგარიში - „სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის“, რომელიც საზოგადოებას 2019 წლის ოქტომბერში წარედგინა. კვლევის ფარგლებში, უცხოელ ექსპერტთან თანამშრომლობით შეფასდა 65 სასამართლოს შენობა, როგორც ადგილზე დათვალიერებით, ისე ექსპერტების მიერ შედგენილი კითხვარების მეშვეობით. კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით,

იუსტიციის უმაღლესი საბჭო გააგრძელებს მუშაობას შშმ პირების საჭიროებისთვის ინფრასტრუქტურული გარემოს მორგებაზე.

## 2.2 ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

გაფართოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მანდატი, რის შედეგადაც, დეპარტამენტი ახორციელებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა, ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით, სხვა დანაშაულთა გამოძიების ხარისხის მონიტორინგს მთელი საქართველოს მასშტაბით. 2019 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა შეაფასა და მონიტორინგი გაუწია 10000-მდე საქმეს. დეპარტამენტის მიერ გამოძიების მონიტორინგი ხორციელდება შეტყობინებებისა და ელექტრონულ სისტემაში ჩატვირთულ მონაცემებზე პოლიციელთა რეაგირების ადეკვატურობის და ხარისხის შეფასების გზით. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, დეპარტამენტის თანამშრომელი უკავშირდება საქმის გამომძიებელს (ან/და მის ზემდგომს), აძლევს შესაბამის მითითებებს და გამოსცემს რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში, გეგმავს კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამომავლო აქტივობებს.

2019 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიაში. კამპანიის ფარგლებში, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები თბილისისა და რეგიონების სკოლებსა და უნივერსიტეტებში. შეხვედრების მიზანი იყო ქალთა მიმართ და ოჯახში ჩადენილი ძალადობის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა, და ამ კუთხით მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის გაცნობა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერითა და შვედეთის მთავრობის დაფინანსებით განახორციელა 18-დღიანი კამპანია ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ, სახელწოდებით „ნუ წაართმევ ბავშვობას“.

2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული კომენტარები, შენიშვნები, მოსაზრებები და რეკომენდაციები. დოკუმენტი ითვალისწინებს ბავშვის უფლებების, უსაფრთხოებისა და თავისუფლების დაცვას და წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს, რათა ბავშვმა დამოუკიდებლად შეძლოს საკუთრი უფლებების დაცვა.



სახალხო დამცველის აპარატში შემუშავდა 2019-2021 წლების ბავშვთა უფლებათა დეპარტამენტის სამუშაო გეგმა. დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, 2019 წლის მაისიდან, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი, რომლის ფარგლებშიც დეპარტამენტში აყვანილ იქნა 2 მონიტორი და 1 მონიტორის ასისტენტი. აღნიშნული კადრები დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ახორციელებენ საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგს, შეისწავლიან ინდივიდუალურ საჩივრებსა და მომართვებს ბავშვის უფლებების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით და ახორციელებენ მანდატის ფარგლებში ზედამხედველობას შესაბამის შემთხვევებზე.

შემუშავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში ბავშვთა უფლებების მდგომარეობის მონიტორინგის მეთოდოლოგია. განახლდა და ამოქმედდა გაუმჯობესებული არასრულწლოვანთა საქმეების მონიტორინგის სისტემა.

2019 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი გაფართოვდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით. კერძოდ, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირი/მოწმე სარგებლობს იურიდიული დახმარების უფლებით.

2019 წელს „ბავშვის უფლებათა“ კოდექსის მიღებიდან გამომდინარე, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება რომელიც 2020 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებით უფასოდ სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ არასრულწლოვანს მათ შორის გამოსაკითხ და დასაკითხ პირს ყველა კატეგორიის დანაშაულზე, მიუხედავად გადახდისუნარიანობის ფაქტორისა. ასევე, არასრულწლოვნებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ უფასო იურიდიული კონსულტაციითა და დახმარებით სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

2019 წელს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასებისა და უზრუნველყოფის სისტემა დაამტკიცა იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭომ. სისტემა ამოქმედდება 2020 წლიდან და იგი ეფუძნება 4 ძირითად პრინციპს: 1. სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება; 2. ადვოკატის დამოუკიდებლობა; 3. პროფესიული საიდუმლოების დაცვა (კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დაუშვებლობა); 4. პერსონალური მონაცემების დაცვა.

მართლმსაჯულების პროცესის არასრულწლოვან მონაწილეებზე შეგროვდა სრულყოფილი სტატისტიკა. მისი წარდგენა მოხდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონფერენციაზე.

იგი ასევე აისახა გენერალური პროკურორის ანგარიშში და გამოქვეყნდა პროკურატურის ვებგვერდზე.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ფონდის ფარგლებში არსებული ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელ ხაზზე (116 006) სულ განხორციელდა - 1455 ზარი, აქედან მამრობითი - 343, მდედრობითი - 1112.

ჩატარდა ოჯახურ დანაშაულთან ბრძოლის საკითხზე არსებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. მიმდინარეობს მუშაობა შიდაუწყებრივი რეკომენდაციების განახლების მიზნით. ჩატარებული მონიტორინგის შედეგების საფუძველზე განახლდა ერთი რეკომენდაცია და შემუშავდა 2 ახალი რეკომენდაცია.

2019 წელს ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებით, კერძოდ, თავშესაფარში დროებითი საცხოვრისით ისარგებლა 411-მა პირმა. თავშესაფარში არსებული სხვა მომსახურებებით, კერძოდ: ფსიქო-სოციალური დახმარებით ისარგებლა - 305-მა პირმა, სამედიცინო მომსახურებით - 206-მა და სამართლებრივი დახმარებით - 202-მა პირმა.

კრიზისული ცენტრების მომსახურებით, სულ ისარგებლა 242-მა პირმა, მათ შორის, ფსიქოლოგიური მომსახურებით - 222-მა; სამართლებრივი მომსახურება გაეწია 158 პირს, სოციალური პრობლემების მოგვარებაში დახმარება გაეწია 79-ს და სამედიცინო დახმარება - 27 პირს. სავარაუდო მსხვერპლთათვის სადღეღამისო საცხოვრისით თბილისში ისარგებლა ერთმა სავარაუდო მსხვერპლმა და მასზე დამოკიდებულმა ერთმა არასრულწლოვანმა პირმა.

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა ფონდის მომსახურებით ისარგებლა 4-მა არასრულწლოვანმა დაზარალებულმა; ოთხივე მათგანმა მიიღო სადღეღამისო საცხოვრისი თავშესაფარში და გაეწიათ შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარება.

დასრულდა მუშაობა თავშესაფრის მაძიებელთა „მიმღებ ცენტრში განთავსების ან სხვა ადგილას განსახლების წესში“ განსახორციელებელი ცვლილებების პროექტზე.

სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის 23-მა ბენეფიციარმა. პროფესიული გადამზადების კურსები წარმატებით გაიარა 9 ბენეფიციარმა. 2019 წლის მონაცემებით, პროგრამაში ჩართულია 422 ბენეფიციარი (მათგან 41 ქალი). 2019 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმდა 52 ბენეფიციარი.

მომზადებულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის შეფასების გეგმა, რომლის დამტკიცების შემდეგ სუიციდის პრევენციის პროგრამის საბჭოს წევრები პენიტენციურ დაწესებულებებში განახორციელებენ გეგმიურ ვიზიტებს ინტერვიუების, პროგრამის მონიტორინგისა და მიმდინარე საჭიროებათა იდენტიფიცირების მიზნით.

შეიქმნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცი-  
რეაბილიტაციის დეპარტამენტი.

განხორციელდა არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის/განრიდებულებისთვის და  
წინასასამართლო ეტაპისთვის რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტის  
პილოტირება საქართველოს 5 რეგიონში. პრობაციის ეროვნულ სააგენტოში რისკების და  
საჭიროებების შეფასების ახალ ინსტრუმენტზე სამუშაოდ გადამზადდა ყველა თანამშრომელი  
(პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი). ასევე, პენიტენციური სისტემის ყველა  
თანამშრომელმა, რომლებმაც სამოქმედო გეგმის მიხედვით 2019 წლიდან უნდა გამოიყენონ  
რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტი, გაიარა შესაბამისი ტრენინგი.

თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში პრევენციის ეროვნული  
მექანიზმის ფუნქციების განხორციელების მიზნით, სახალხო დამცველის სპეციალური  
პრევენციული ჯგუფის მიერ სულ განხორციელდა 83 ვიზიტი: 5 პენიტენციურ დაწესებულებაში  
განხორციელდა 22 ვიზიტი, 3 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში - 6 ვიზიტი, 30 პოლიციის  
სამმართველოში - 30 ვიზიტი, 14 დროებითი მოთავსების იზოლატორში - 24 ვიზიტი, ევროპის  
ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ფრენის მონიტორინგის მიზნით - 1 ვიზიტი.

2019 წლის თებერვალში შეიქმნა გათავისუფლებისთვის მომზადების სამუშაო ჯგუფი და  
საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა. ჯგუფის საქმიანობაში აქტიურად  
მონაწილეობენ ევროკავშირის პროექტის - EU4JUSTICE „პენიტენციური და პრობაციის  
სისტემების ხელშეწყობის“ წარმომადგენლები. ევროკავშირის პროექტის დახმარებითა და  
ექსპერტების ჩართულობით, მომზადდა გათავისუფლებისთვის მომზადების კონცეფციის  
საბოლოო დოკუმენტი.

ევროპის საბჭოს პროექტის - „თავისუფლებააღკვეთილ პირთა ფსიქიკური ჯანდაცვის  
გაუმჯობესება საქართველოში“ და სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო  
დეპარტამენტის ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავდა პენიტენციური ჯანდაცვის  
სტანდარტის განახლებული დოკუმენტი.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, განხორციელდა ვიზიტები N11 პენიტენციურ  
სარეაბილიტაციო დაწესებულებაში და შესწავლილ იქნა იქ მოთავსებულ ბავშვთა მდგომარეობა  
და საჭიროებანი; შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია - „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე  
ბავშვები“ და მომზადდა კვლევის კონცეფცია - „განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვები“.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა კონფლიქტით დაზარალებულ პირთა  
უფლებების შესწავლის მიზნით, მონიტორინგი განახორციელა გამყოფი ხაზის მიმდებარე  
რამდენიმე სოფელში.

დასრულდა 2017-2018 წლების წამებასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის  
პროექტი; 2019 წლის 17 მაისს ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და  
ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების

განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა წამებასთან ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

### 2.3 საჯარო სამსახურის რეფორმა და კორუფციასთან ბრძოლა

ანტიკორუფციულ საბჭოსა და საბჭოს სამუშაო ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა ანტიკორუფციული სტრატეგია და მისი განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა. ორივე დოკუმენტი ანტიკორუფციულმა საბჭომ 2019 წლის 26 ივლისს, ხოლო საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 4 ოქტომბერს N484 დადგენილებით დაამტკიცა.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო სამსახურის ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონსა და ანტიკორუფციულ მექანიზმებზე ცნობიერების ამაღლების გზით, საჯარო სამსახურის რეფორმის დანერგვის მხარდაჭერა“ - ფარგლებში, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის სიახლეებსა და ეთიკის საკითხებზე ჩაატარა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები, რომლებსაც დაესწრნენ სამინისტროში დასაქმებული 77 და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული 76 წარმომადგენელი.

საჯარო სამსახურის ბიურო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, 2019-2020 წლებში ახორციელებს პროექტს „საჯარო სამსახურის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში მმართველობის ახალი გზების დანერგვის ხელშეწყობა“. პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია ლიდერობისა და მართვის შესახებ ტრენინგების ციკლის ჩატარება, რომელიც ასევე აერთიანებს საჯარო სამსახურის ეთიკის საკითხებსაც. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 4 ტრენინგი, რომელსაც დაესწრო 68 პროფესიული საჯარო მოხელე.

საჯარო სამსახურის რეფორმისა და ბიუროს მიერ განხორციელებული საქმიანობისადმი პროფესიული საჯარო მოხელეების დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, ბიურომ ჩაატარა საჯარო მოხელეთა გამოკითხვა. შესაბამისად, ბიურომ შეიმუშავა კითხვარი, რომელიც დაიგზავნა 10601 მოხელესთან ხოლო, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 816-მა მოხელემ, რითიც კვლევის ნდობის ალბათობამ 95 % შეადგინა.

2019 წელს, საჯარო სამსახურის ბიურომ მოამზადა შეფასების სისტემასთან დაკავშირებული 6 ვიდეო-რგოლი, რომლებიც განთავსდა ბიუროს ვებ-გვერდზე. ამასთანავე, შეფასების სისტემასთან დაკავშირებით შემუშავდა გზამკვლევი მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის. გარდა ამისა, საჯარო სამსახურში კეთილსინდისიერი და ეთიკური გარემოს გაძლიერების, ეფექტიანი მართვისა და ლიდერობის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდში, პირველად საჯარო სამსახურში შემუშავდა სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია, რომელზეც უშუალოდ საჯარო სამსახურისათვის ამ მხრივ მნიშვნელოვან საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება.

კეთილსინდისიერების, ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლების, ასევე, აღნიშნულ საკითხების განხილვისთვის დამატებითი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ დაასრულა მუშაობა ეთიკის ელექტრონული კურსის დიზაინის შემუშავებაზე და მიმდინარეობს კურსის შინაარსობრივი გამართვის პროცესი. შედეგად, ელექტრონული კურსი იფუნქციონირებს საპილოტე რეჟიმში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს პროფესიული განვითარების სისტემის დანერგვის ხელშეწყობა, რის შედეგადაც, პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა დაიგეგმა 1531 მოხელისათვის, ხოლო დამატებითი პროგრამა - 5190 მოხელისათვის. საანგარიშო პერიოდში, საბაზისო პროგრამას დაესწრო I და II რანგის 96, ხოლო III და IV რანგის 200 მოხელე, ხოლო დამატებით პროგრამას დაესწრო 1589 საჯარო მოხელე.

2019 წლის განმავლობაში შესამოწმებელი დეკლარაციების საერთო რაოდენობამ 607 შეადგინა. მონიტორინგი განხორციელდა 596 დეკლარაციაზე, ხოლო 11 დეკლარანტზე მონიტორინგი არ დაწყებულა, რაც განპირობებული იყო „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებით, რომლის თანახმადაც დეკლარაციის შევსების ვალდებულების მქონე თანამდებობის პირთა სიიდან ამოღებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები. მონიტორინგის შედეგები და ანგარიში გამოქვეყნებულია ბიუროს ვებგვერდზე.

კორუფციის საქმეების ეფექტიანი გამოძიების თემაზე ჩატარდა 8 სასწავლო აქტივობა. აღნიშნული აქტივობების ფარგლებში გადამზადდა 99 პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი და სტაჟიორი.

## **2.4 თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში**

საქართველოს მთავრობა აგრძელებდა კონსტრუქციულ მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში. 2019 წელს გაიმართა ჟენევის მოლაპარაკებების 47-ე, 48-ე, 49-ე და 50-ე რაუნდები. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების აუცილებლობაზე. საქართველოს წარმომადგენლები აგრძელებდნენ ძალისხმევას რუსეთის მხრიდან ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულებების დადასტურებისა და შესრულების, უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე უკანონო მილიტარიზაციას, რეგულარულ სამხედრო წვრთნებსა და საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებს.

ქართული მხარე მუდმივად სვამდა ირაკლი კვარაცხელიას რუსეთის სამხედრო ბაზაზე უკანონო პატიმრობაში გარდაცვალების საკითხს, აგრეთვე არჩილ ტატუნაშვილის, გიგა



ოთხოვნორიასა და დავით ბაშარულის მკვლელობის საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულების აუცილებლობას. საქართველოს წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ აღნიშნული უკანონო პროცესების შეჩერების აუცილებლობას. ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა გაწეული ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლების უზრუნველსაყოფად.

რეგულარულ ხასიათს ატარებდა კონსულტაციები თანათავმჯდომარეებთან ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს მხრიდან, აგრეთვე მონაწილეებთან აშშ-დან, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში მათი მხარდაჭერის მობილიზებისა და განმტკიცების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ევროკავშირის, როგორც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მედიატორისა და გარანტორი ორგანიზაციის, როლისა და ჩართულობის გაძლიერებას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში.

აქცენტი კეთდებოდა საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზებაზე, მოლაპარაკებების დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე პროგრესის უზრუნველყოფის მიზნით, როგორცაა ძალის არგამოყენება, უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება. ძალისხმევა მიმართული იყო, რათა საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით შესაძლებელი გამხდარიყო უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარულ საკითხებზე პროგრესის მიღწევა.<sup>1</sup>

განსაკუთრებული იყო ძალისხმევა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) დღის წესრიგში შემდგომი გააქტიურების მიზნით. შედეგად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული მძიმე ვითარება და საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსეთის პროვოკაციული ქმედებები არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში. მათ შორისაა, გაეროს გენერალური ასამბლეა, ეუთოს მუდმივი საბჭო, ეუთო-ს უსაფრთხოების საკითხების მიმოხილვის ყოველწლიური კონფერენცია, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტი, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭო, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების კომიტეტი, აგრეთვე ევროკავშირის-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი, სხვადასხვა კონფერენციები, მრგვალი მაგიდის ფორმატის ღონისძიებები და სხვ.

ამასთან, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის თემაზე მომზადდა არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი. მათ შორის, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს: გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი,

---

<sup>1</sup> რუსეთის საოკუპაციო ძალების და ოკუპირებული აფხაზეთის წარმომადგენლების გადაწყვეტილებით, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, IPRM-ის შეხვედრები 2018 წლის 27 ივნისიდან კვლავ შეწყვეტილია



საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ", გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია „თანამშრომლობა საქართველოსთან“, გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილება „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მე-19 და მე-20 კონსოლიდირებული ანგარიშის - „კონფლიქტი საქართველოში“, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია „უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობა აფხაზეთი, საქართველო და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, საქართველო“, ეუთოს მეგობართა ჯგუფის განცხადებები რუსეთ-საქართველოს კონფლიქტსა და 2008 წლის აგვისტოს ომის მე-11 წლისთავზე, აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის საქართველოს მხარდამჭერი აქტი, აშშ-ს 2019 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში; გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის ოფისის ანგარიში - ადამიანის უფლებები და დემოკრატია და სხვ.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაგრძელდა კონსულტაციები ასოცირების შეთანხმებიდან და შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის რეჟიმიდან, გამომდინარე სარგებელის ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები მოსახლეობისთვის გაზიარების უზრუნველყოფის მიზნით გზების შესამუშავებლად.

საქართველო აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან საოკუპაციო ხაზზე კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისა და რუსეთის პროვოკაციულ ქმედებებთან გამკლავების მიზნით. გაგრძელდა კოორდინაცია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირებისა და ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის, ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში.

2019 წელს დაიწყო სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" აქტიური განხორციელება. დასრულდა სამართლებრივი პროცესი, რომლითაც ამოქმედდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, როგორცაა, პირადი ნომრით სტატუს ნეიტრალური რეგისტრაციის საშუალება, სპეციალური საწარმოს სტატუსის მიღების წესი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობისთვის სპეციალური თანხმობის გაცემის წესი და საგადასახადო შეღავათების მიღება. ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით, საპარტნიორო ფონდის მიერ მომზადდა სოფელ რუხში სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის აშენება/მოწყობის პროექტი.

2018 წლის 22 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ახალი უპრეცედენტო საგრანტო პროგრამა „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“, რომელიც გულისხმობს, გამყოფი ხაზის გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობას და ამ მიზნით გამყოფი ხაზების ორივე

მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ინდივიდუალური და ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერას 7,000-დან 35,000 ლარის ფარგლებში. ნიშანდობლივია, რომ განაცხადები შემოვიდა არამხოლოდ გალისა და ახალგორის რაიონის, არამედ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივად ყველა რაიონიდან. საგრანტო პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში (500 000 ლარი) უწყებათაშორისი კომისიის მიერ წლის განმავლობაში გამოვლინდა და დაფინანსდა 20 გამარჯვებული პროექტი.

2019 წლის 12 აგვისტოს, სს „საპარტნიორო ფონდთან“ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან ერთად, შეიქმნა სამშვიდობო ინიციატივით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გათვალისწინებული მეორე ფინანსური ინსტრუმენტი, არაკომერციული იურიდიული პირი - „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“. ფონდი ემსახურება ინიციატივით გათვალისწინებულ ამოცანებს, მშვიდობის მშენებლობას, გაყოფილ საზოგადოებებს შორის დიალოგს და ნდობის აღდგენას, საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობას და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამყოფი ხაზების გასწვრივ კონკრეტული სავაჭრო პროექტების/ინიციატივების განხორციელებას. საქმიანობის განსახორციელებლად და გრანტების გასაცემად, მშვიდობის ფონდი მოიზიდავს საერთაშორისო დონორების დაფინანსებას.

ასევე მაღალია ინტერესი სამშვიდობო ინიციატივის განათლების კომპონენტის მიმართ. 2019 წლის 17 აპრილს ამოქმედდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი აბიტურიენტების მომზადების პროგრამა. პროგრამაზე სწავლა დაიწყო 142-მა სკოლადამთავრებულმა ახალგაზრდამ და აქედან 139-მა გამარტივებული წესით ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში.

ამასთან, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა „1+4“ პროგრამის განხორციელებას, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მათ შორის აფხაზებსა და ოსებს, გამარტივებული პროცედურებით ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარების გზით, რასაც თან ერთვის ქართულ ენაზე მოსამზადებელი ერთწლიანი კურსი.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის უვიზო რეჟიმით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში, საგრძნობლად გამარტივდა საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღების პროცედურები. მოქალაქეობის დადგენა უკვე ხდება ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე ერთი თვის ვადაში, უფასოდ. შესაძლებელია კიდევ უფრო დაჩქარებული პროცედურის გავლაც.

გრძელდებოდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები პირების ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ეფექტური ფუნქციონირების გზით. 2019 წელს რეფერალური პროგრამის მომსახურებით ოკუპირებული რეგიონების 1481 მცხოვრებელმა ისარგებლა. ამასთან,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლები აგრძელებენ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვას და სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღებას. განიხილება აღნიშნული პროგრამის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომობის საკითხი.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, რომელიც აგრძელებს ეფექტურად მუშაობას ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა განაგრძობს აფხაზეთის რეგიონისთვის საჭირო ვაქცინების მიწოდებას. საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის რეგიონს გადაეცა იმუნიზაციის, წითელას და ანტი-რაბიული ვაქცინები, დიაბეტის, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები, რომელთა ღირებულებამ მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

2019 წელს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით დაფინანსდა და დაიწყო დამატებით 64 ნდობის აღდგენის პროექტი. ყველა მათგანზე გაიცა შესაბამისი თანხმობა. ამასთან, გრძელდებოდა ძალისხმევა აფხაზეთ და ოსურ საზოგადოებებთან კომუნიკაციის განხორციელებისა და თემატური დიალოგის ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის ევროსაბჭოს მხარდაჭერით გაიმართა 13 ქართულ-აფხაზეთი ორმხრივი ნდობის აღდგენის შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და აფხაზმა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, განხორციელდა რიგი სოციალური, ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვითი, საგანმანათლებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის ღონისძიებები.

ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ფარგლებში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიების ფარგლებში, განხორციელდა შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები სასამართლოს მიერ მოწოდებული თხოვნების შესრულებისა და გამოძიების ეფექტიანად წარმართვის მიზნით. რეგულარულად იმართება შეხვედრები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლებთან თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმების თაობაზე. 2019 წლის 24 იანვარს ქ. ჰააგაში, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ხელი მოაწერა „საქართველოს მთავრობასა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შორის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სასჯელების აღსრულების შესახებ“ შეთანხმებას.

2019 წლის 18-19 ივნისს, ქ. ბრიუსელში აღმოსავლეთ პარტნიორობის უსაფრთხოების, CSDP-ისა და სამოქალაქო დაცვის საკითხებზე პანელის ფარგლებში ad hoc ვიზიტი გაიმართა CSDP საკითხებზე მომუშავე საჯარო მოხელეებისთვის. საქართველოს მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ოთხმა წარმომადგენელმა.

ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში (CSDP) ევროკავშირის მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობა გრძელდება. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM RCA) ეროვნული გვარდიის მორიგი ოცეული გაემგზავრა 2019 წლის მარტში. როტაცია განხორციელდა 2019 წლის 31 აგვისტო - 2 სექტემბრის პერიოდში. მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM Mali) საქართველოს თავდაცვის ძალების ერთი მეკავშირე ოფიცრის გეგმიური (მე-8) როტაცია განხორციელდა 2019 წლის ნოემბერში.

სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაციის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის და სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა „ეროვნული თავდაცვის სტრატეგია 2020-2030წ.“ დოკუმენტის პროექტი. თავდაცვის ეროვნული მზადყოფნის გეგმის შემუშავება დაიწყება თავდაცვის ეროვნული სტრატეგიის განხილვისა და დამტკიცების პროცედურების დასრულების შემდგომ. თავდაცვის კოდექსი გადის შესაბამის შიდა პროცედურებს და დასამტკიცებლად წარდგენა ნავარაუდევია 2020 წლის გაზაფხულზე.

## 2.5. ევროკავშირის სპეციალიზირებულ სააგენტოებთან თანამშრომლობა

წლის განმავლობაში ევროკავშირის სპეციალიზირებულ სააგენტოებთან თანამშრომლობის განვითარების კუთხით აღსანიშნავია შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოსა და **EUROJUST**-ს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას;
- საქართველოსა და **EUROPOL**-ს შორის ამოქმედდა უსაფრთხო კომუნიკაციის არხი (SIENA);
- შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაერთო **Frontex**-ის საჰაერო საზღვრებიდან მონაცემთა შეგროვების სისტემაში (Frontex Pulsar Data);
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და **CEPOL**-ს შორის ხელი მოეწერა 2019-2020 წლების თანამშრომლობის გეგმას;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა და **EFSA**-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რისკის შეფასების სფეროში;
- ევროკავშირისა და ევროპის ინტელექტუალური საკუთრების ოფისს (**EUIPO**) შორის ხელი მოეწერა ფინანსურ ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს საქპატენტისა და EUIPO-ს ერთობლივი პროექტის დაფინანსებას.

## 3. თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება

2019 წელს, საქართველოს მიერ გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულებების ფარგლებში, შსს მიგრაციის დეპარტამენტმა განიხილა რეადმისიის განაცხადი 3252 პირზე, აქედან დაკმაყოფილდა განაცხადების დაახლოებით 98%.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა მოქალაქეთა 176 განცხადება და შეტყობინება; განახორციელა 158 ინსპექტირება, ამასთან, სამსახურმა გასწია 11784 კონსულტაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემატიკაზე და ჩაატარა 33 ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრა, ჯამში 600-ზე მეტი პირის მონაწილეობით.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციისა (ძალაში შევიდა 2018 წლის 25 მაისს) და ევროპის საბჭოს 108 კონვენციის მოდერნიზების გათვალისწინებით, ინსპექტორის აპარატმა მოამზადა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი კანონის პროექტი. შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ ადგილობრივი და ევროპელი ექსპერტები. მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის განახლების საჭიროება განხილულ იქნა საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და კერძო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებთან. კანონპროექტი, შემდგომი საკანონმდებლო პროცედურებისთვის წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.

ცივი იარაღის ბრუნვის რეგულირების მიზნით შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები წარდგენილია საქართველოს პარლამენტში, სადაც პროექტის მისაღებად მიმდინარეობს შესაბამისი საკანონმდებლო პროცედურები. ამ ეტაპზე პროექტი მიღებულია პირველი მოსმენით, შემდგომი საპარლამენტო განხილვები გაგრძელდება საგაზაფხულო სესიაზე.

აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო სექტორების მშენებლობა და რეკონსტრუქცია. სასაზღვრო პოლიციას აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით გადმოეცა 8 ერთეული თოვლმავალი და 30 ერთეული კვადროციკლი, ასევე, დაკვირვების სისტემების აღჭურვილობა, მათ შორის თერმული ხედვისა და ღამის ხედვის აღჭურვილობა და აბორდაჟის აღჭურვილობა. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით, სასაზღვრო პოლიციას გადმოეცა სანავიგაციო და საკომუნიკაციო სისტემები.

2019 წლის 29 მარტს, ე. ჰაგაში, საქართველოსა და ევროკავშირის სააგენტო „EUROJUST-ს შორის ხელ მოეწერა თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას. შეთანხმების ძალაში შესვლის მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2019 წლის 8 მაისს. პარლამენტმა შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა 2019 წლის 29 მაისს.

გაღრმავდა თანამშრომლობა Frontex-თან, ევროკავშირის შიდა პროცედურების დასრულებისთანავე მოეწერება ხელი ახალ სამუშაო შეთანხმებას. გაიზარდა Frontex-ის მანდატით თბილისისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებში მოვლენილი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მესაზღვრე ოფიცრების რაოდენობა. ასევე, 2019 წლის 2 ივნისიდან 1 თვიანი როტაციის პრინციპით წარიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ოფიცრები ევროკავშირის წევრი ქვეყნების აეროპორტებში. Frontex-თან არსებული თანამშრომლობის ფარგლებში შინაგან საქმეთა



სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს Frontex-ის მიერ ორგანიზებულ 37 სხვადასხვა აქტივობაში: ერთობლივ ოპერაციებში, სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებში.

დასრულდა მიგრაციის პროფილისთვის მონაცემების შეგროვება და მომზადდა დოკუმენტის პირველი სამუშაო ვერსია. ანალიტიკური სისტემიდან მომზადდა ანგარიშის სამუშაო ვერსია 2019 წლის მიგრაციის პროფილის ფარგლებში გამოსაქვეყნებლად.

ევროპოლთან არსებული წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, 2019 წლის მდგომარეობით, საქართველო გაწევრიანებულია ევროპოლის 2 ანალიტიკურ პროექტში: 1) საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჯგუფი, ე.წ. ფურტუმი; 2) აღმოსავლეთ ევროპული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ანალიტიკური ჯგუფი - EEOC.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით, 2019 წლის 10 მაისს, თბილისში, ხელი მოეწერა ადმინისტრაციულ შეთანხმებას საქართველოსა და საფრანგეთს შორის ოპერატიული საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებისა და საფრანგეთში მივლენილი ქართველი პოლიციელების მიღების შესახებ. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მემორანდუმის სტატუსი აქვს. ადმინისტრაციული შეთანხმების საფუძველზე, 2019 წლის სექტემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი ოფიცერი მივლენილია საფრანგეთში (1 არალეგალური მიგრაციის, 2 კი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე); ქართველი ოფიცრები დახმარებას უწევენ ფრანგ კოლეგებს საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩადენილი დარღვევების პრევენციისა და გამოვლენის კუთხით.

2019 წლის 10 ივლისს, თბილისში ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“. შეთანხმება ჯერ არ შესულა ძალაში და საერთაშორისო შეთანხმების სტატუსი აქვს.

ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის და აღკვეთის მიზნით, შსს-მ გააქტიურა ძალისხმევა. შესაბამისად, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნა 32 ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი 108 პირის მონაწილეობით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს აქტიურ მუშაობას ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობისა და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მიმართულებით. ქალაქ თბილისისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტებში შეიქმნა ანალიტიკოსის შტატი. მიმდინარეობს ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობაში ჩართული თანამშრომლების შესაძლებლობების/უნარების განვითარება.

2019 წლის აგვისტოში შემუშავდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის გზამკვლევი. აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა გერმანელი ექსპერტების ჩართულობით, ევროკავშირი საქართველოსთვის (EU4justice) - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროექტის მხარდაჭერით. მუშაობა გრძელდება ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე.



შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის, N102 ბრძანებით განისაზღვრა ტერიტორიულ ერთეულებში მომუშავე ანალიტიკოსების საქმიანობის წესი (ფუნქცია-მოვალეობები). ამავდროულად, გრძელდება ანალიტიკური პროდუქტების ნიმუშებზე მუშაობა და მიმდინარეობს ინტერაქტიული რუკის (maps.pol.ge) განვითარება.

ასევე, გრძელდება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროექტის განხორციელება. ამ ეტაპზე ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულია 177 მართლწესრიგის ოფიცერი. პარალელურად მიმდინარეობს მართლწესრიგის ოფიცრების შესაძლებლობების განვითარება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ახალი ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებით.

CEPOL-ის გაცვლით პროგრამებს და რეზიდენტულ კურსებში მონაწილეობას იღებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები. 2019 წლის განმავლობაში, შსს აკადემიის კოორდინაციით, CEPOL-ის გაცვლით პროგრამებში განხორციელდა 29 თანამშრომლის ვიზიტი.

2019 წლის განმავლობაში საქართველოს პროკურატურისა და ევროკავშირის ქონების დაბრუნების ოფისების (EU AROs) წარმომადგენლებს შორის ჩატარდა 3 შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც გაცვლილი იქნა ინფორმაცია თანამშრომლობის საკითხებზე.

2019 წლის 2-4 აპრილს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ვიზიტით მიიღო ევროპის ნარკოტიკული საშუალებებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) შემფასებელი მისია, რომელსაც მიეწოდა ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და არსებული ვითარების შესახებ. დამატებით, ცენტრის დაფუძნების შემდეგ ინტენსიურად მოხდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაცემებისა და ინფორმაციის გაზიარება ევროპული ცენტრისათვის.

2019 წლის 14 მაისს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ განიხილა და დაამტკიცა ნარკომანიასთან ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები ტრეფიკინგის თემაზე ხაშურსა და დუშეთში (სულ 85 მონაწილე), მარნეულში (105 მონაწილე), შიდა ქართლის სოფელ ჭალაში (40 მონაწილე), კოდაში (15 მონაწილე), თბილისში (44 მონაწილე). სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ეთნიკური უმცირესობები და ზოგადად ადგილობრივი მოსახლეობა.

ბავშვთა შრომის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (12 ივნისი) კვირეულის ფარგლებში სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრმა“ საქართველოს 12 ქალაქში/დაბაში ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები 13-18 წლის მოზარდებთან. კამპანიის მიზანს წარმოადგენდა შრომითი უფლებების შესახებ ბავშვებისთვის ცნობიერების ამაღლება.

შეხვედრების ფარგლებში ყურადღება გამახვილდა, ასევე, ტრეფიკინგსა და ბავშვთა შრომით ექსპლუატაციაზე. შეხვედრებს ჯამში 146 მონაწილე დაესწრო და ჩატარდა თბილისში, მცხეთაში, გორში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, ლესაში, ბორჯომში, ახალციხეში, აწყურში, ვალეში, ადიგენსა და ახალქალაქში.

საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი დამტკიცდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (მსსკ) მიერ და გამოქვეყნდა მსსკ-ის ვებ-გვერდზე: [http://migration.commission.ge/index.php?article\\_id=322&clang=0](http://migration.commission.ge/index.php?article_id=322&clang=0)

2019 წლის 24 იანვარს, საქართველო შეუერთდა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს 2017 წლის 11 სექტემბრის „გამოყენებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყაროების მართვის სახელმძღვანელოს“, რომელიც წარმოადგენს ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მიერ შემუშავებული რადიოაქტიური წყაროების უსაფრთხოებისა და დაცულობის ქცევის კოდექსის დამატებას.

საქართველომ გაავრცელა ეუთო-ს უსაფრთხოებისათვის თანამშრომლობის ფორუმის შესაბამისი გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული შემდეგი ანგარიშები: ინფორმაცია 2019 წლის სამხედრო დაგეგმარებისა და ბიუჯეტის შესახებ (FSC.DOC/1/11), ინფორმაცია ჩვეულებრივი შეიარაღებისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების ექსპორტის პოლიტიკის შესახებ (FSC.DEC/20/95), ინფორმაცია მცირე და მსუბუქი შეიარაღებისა და ჩვეულებრივი აღჭურვილობის მარაგების თაობაზე საკონტაქტო პირის შესახებ (FSC.DEC/4/08); კითხვარი სამხედრო ინფორმაციის გაცვლის შესახებ (FSC.DEC/1/19); კითხვარი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების შესახებ (FSC.DEC/7/04). ასევე, ეროვნული ანგარიში სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შესახებ, „ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ“ 1980 წლის კონვენციის (CCW) მეოთხე გადასახედი კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად, კონვენციის თავსებადობის, მისი მეორე დამატებითი და მეხუთე ოქმების იმპლემენტაციის საკითხებზე; იარაღით ვაჭრობის ხელშეკრულებით ATT გათვალისწინებული წლიური ანგარიში; გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2018 წლის დეკემბერში მიღებული შემდეგი რეზოლუციების: 73/51 “Information on confidence-building measures in the field of conventional arms”; 73/34 “Conventional arms control at the regional and subregional levels”; 73/27 “Developments in the field of information and telecommunications in the context of international security”; 73/266 “Advancing responsible State behaviour in cyberspace in the context of international security” შესაბამისი ანგარიშები.

2019 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით, ცვლილებები შევიდა „ტექნიკური რეგლამენტის - „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №443 დადგენილებაში. ასევე, ევროკავშირის

№128/2009 რეგულაციის გათვალისწინებით, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს დირექტორის შიდა ბრძანებით, დამტკიცდა პესტიციდებთან დაკავშირებული საქმიანობის ოპერაციული პროცედურები, მათი რეალიზაციის მოწესრიგებისა და საჯარიმო სანქციების გამკაცრების მიზნით.

2019 წლის საანგარიშო პერიოდში, სასაზღვრო ოპერაციების მართვის სისტემით (BOMS) გათვალისწინებულ კომპონენტებთან სამუშაოდ, ტექნიკურ და პროგრამულ საკითხებში მომზადებულია შს სსდ სასაზღვრო პოლიციის 90-მდე თანამშრომელი.

აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველო-სომხეთის სახმელეთო საზღვრის შესაბამის სექტორებზე მოწყობილია ელექტრონული დაკვირვების სისტემა და ექსპლუატაციაში გაშვებულია 2019 წლის ივლისის ბოლოდან.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში. საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ტერორიზმის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით სამართლებრივი ბაზის განვითარების კუთხით. 2019 წლის იანვარში, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია და მისი სამწლიანი სამოქმედო გეგმა. საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა „საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმებას კვიპროსის რეპუბლიკის მთავრობასთან. ძალაში შევიდა „საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ მთავრობათაშორისი შეთანხმებები საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკას შორის, ასევე, საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის. ამასთან, მიმდინარეობს კონსულტაციები პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან მსგავსი შეთანხმების გაფორმების მიზნით.

#### **4. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები**

2019 წელს საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 825.7 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 13 %-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.9 % შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 2 321.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (7.4 %-ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 25.6 % შეადგინა. სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3 147.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 2.8 პროცენტით ჩამორჩება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს 2019 წელს მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 28.3 პროცენტით განისაზღვრა. საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ისეთ პროდუქტებზე როგორცაა: უალკოჰოლო სასმელები (53%), ღვინო (14%), თხილი (22%), ახალი ან შეყინული ბოსტნეული (71%), მცენარეები სამკურნალო და პარფიუმერული

დანიშნულებით (22%), მზა ტანსაცმელი (91%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (42%) და სხვ.<sup>1</sup>

საქონლის ექსპორტის დივერსიფიკაციასა და გაზრდასთან ერთად, საქართველოდან ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა 2019 წლის მონაცემებით 2014 წელთან შედარებით 61%-ით გაიზარდა და შეადგინა 910.

2018-2020 წლების DCFTA-ს განხორციელების გრძელვადიან გეგმასთან ერთად, არსებული პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით 2018 წლის დეკემბერში დამტკიცდა DCFTA-ის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

რეგულარულად მიმდინარეობს ვებ-გვერდის [www.dcfta.gov.ge](http://www.dcfta.gov.ge) განახლება. საიტზე შენიშვნებისთვის საჯარო გახდა საკანონმდებლო აქტების პროექტები სანიტარულ, ფიტოსანიტარულ და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროებში.

2019 წელს სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სესხის და ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებით დაეხმარა, 144 ბიზნეს პროექტს (85 საწარმო და 59 სასტუმრო). აღნიშნული პროექტების ჯამურმა საინვესტიციო ღირებულებამ 288.6 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა 166.3 მლნ ლარს აღემატება. პროექტების ფარგლებში შეიქმნება 2900-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი. ტექნიკური დახმარების კომპონენტით 15-მა კომპანიამ (3 სასტუმრო, 12 საწარმო) ისარგებლა.

2019 წლის განმავლობაში სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მხრიდან ევროპის მეწარმეთა ქსელის (EEN) პლატფორმაზე დარეგისტრირდა 5 ქართული კომპანია. გარდა ამისა, პლატფორმასთან დაკავშირებით კონსულტაცია გაეწია 30-ზე მეტ დაინტერესებულ პირს.

2019 წლის განმავლობაში DCFTA-სთან დაკავშირებით კონსულტაცია გაეწია სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს 160 ბენეფიციარსა და დაინტერესებულ პირს, მათ შორის სათამაშოების მწარმოებელ 10 კომპანიას, საფეიქრო ინდუსტრიაში მომუშავე 50 კომპანიას, არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე 20 კომპანიას, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის 20 ბენეფიციარს და 60 ინდივიდუალურ პირს.

აქტიურად მიმდინარეობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სავაჭრო გამოფენებში ქართველი ექსპორტიორების მონაწილეობის ხელშეწყობა, ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია და ახალი ბიზნეს-კონტაქტების დამყარება ბაზრის დივერსიფიკაციის მიზნით. 2019 წელს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს დახმარებით, ევროკავშირის ქვეყნებში გამართულ ჯამში 11 საერთაშორისო გამოფენა/ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 102-მა ქართულმა კომპანიამ. შედეგად, სააგენტოს მხარდაჭერით, მხოლოდ 2019 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში 15 მლნ ევროს ექსპორტის სტიმულირება მოხდა.

<sup>1</sup> <https://www.geostat.ge/media/28994/sagonlit-sagareo-vachroba-sagartveloshi-20.01.2020-%28geo%29.pdf>

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროში საკანონმდებლო დაახლოების პროცესის ფარგლებში მომზადდა და მთავრობის დადგენილებებით დამტკიცდა:

- ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;
- სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;
- აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;
- მანქანა-დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

მომზადებულია მთავრობის დადგენილებების პროექტები რადიო-აპარატურის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე და სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალების უსაფრთხოების შესახებ. ყველა ზემოაღნიშნული პროექტი გასაჯაროვდა შენიშვნებისათვის და ასევე, განხორციელდა ბიზნეს სექტორთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან მათი განხილვა.

სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს სტანდარტად სულ დარეგისტრირდა 2 036 სტანდარტი, მათ შორის 350 საერთაშორისო და 1686 ევროპული სტანდარტი.

2019 წლის 2-3 ოქტომბერს ევროპული აკრედიტაციის მრავალმხრივი შეთანხმების საბჭოს (EA-MAC) შეხვედრაზე საბჭოს 42-ე სხდომის გადაწყვეტილებით აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს მიენიჭა აღიარება სამედიცინო ლაბორატორიების სფეროში და ამასთან, გაუგრძელდა ევროპული აკრედიტაციის აღიარება 2022 წლის ნოემბრამდე.

სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სფეროში საკანონმდებლო დაახლოების ნუსხის შესაბამისად, 2019 წელს დაახლოება განხორციელდა ევროკავშირის 20 სამართლებრივ აქტთან. XI-B დანართის შესაბამისად 2019 წლის განმავლობაში დასახლოებელი ევროკავშირის აქტებიდან 2 (2007/843/EC და 2012/756/EU გადაწყვეტილებები) საქართველოსთვის არარელევანტურად ცნო ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა და მათთან არ განხორციელდა დაახლოება. შესაბამისად, დამტკიცდა/შემუშავდა:

- „საქართველოში იმპორტისა და ტრანზიტისთვის განკუთვნილი ზოგიერთი ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველის ჯანმრთელობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N166 დადგენილება;
- „სალმონელასა და სხვა სპეციფიკური საკვებისმიერი ზოონოზური აგენტების კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N172 დადგენილება;
- „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის N112 დადგენილება;



- „ცხოველის საკვების ჰიგიენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N173 დადგენილება;
- „სახელმძღვანელო მითითებები სახელმწიფო კონტროლის მრავალწლიან პროგრამასთან (გეგმა) დაკავშირებით“;
- „ახალი („ნოველ“) სურსათის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N167 დადგენილება;
- „სახელმძღვანელო მითითებები იმ ინფორმაციის სამეცნიერო ასპექტების და პრეზენტაციის შესახებ, რომელიც აუცილებელია ახალი სახეობის სასურსათო პროდუქტების და ახალი საკვები ინგრედიენტების ბაზარზე განსათავსებლად“;
- „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N120 დადგენილება;
- „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის N549 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის N90 დადგენილება;
- სახელმძღვანელო მითითებები - მარცვლოვნებსა და მარცვლოვნების გადამუშავებით დამზადებულ პროდუქტებში T-2 და HT-2 ტოქსინების არსებობის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტის - საკვებდანამატების სპეციფიკაციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 7 აგვისტოს N379 დადგენილება;
- „დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 აპრილის N199 დადგენილება;
- „ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N40 დადგენილება;
- „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N46 დადგენილება“;
- „მარცვლეული კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N45 დადგენილება;
- შაქრის ჭარხლის და ცხოველის საკვები ჭარხლის თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N37 დადგენილება;
- ბოსტნეულისა და ბალჩეულის თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N44 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის - „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №443



დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 იანვრის N22 დადგენილება.

გრძელდება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებით დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების დანერგვა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება. 2019 წელს სურსათის უვნებლობის მიმართულებით დაინერგა 10 ახალი მეთოდი; ვეტერინარიის მიმართულებით - 4; ხოლო მცენარეთა დაცვის მიმართულებით - 26.

2019 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 სექტემბრიდან. კოდექსის შემუშავების პროცესში ჩართული იყო ევროკავშირის საგადასახადო და საბაჟო საკითხების დირექტორატი (DG TAXUD). ევროკომისიასთან შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული კოდექსი შემუშავებულ იქნა ე.წ. „Union Customs Code“-ის შესაბამისად, რომელმაც ჩაანაცვლა DCFTA-ის ფარგლებში განსაზღვრული ე.წ. „Community Customs Code“.

ევროკომისიასთან კონსულტაციების შემდგომ, დაიხვეწა "ფოსტის შესახებ" კანონპროექტი და მათი შენიშვნები აისახა აღნიშნულ კანონპროექტში. 2019 წლის დეკემბერში დაიწყო შიდა პროცედურები პარლამენტში კანონპროექტის ინიცირებისთვის.

შემუშავებულია საქართველოს კანონპროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ.“ კანონპროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში დაგეგმილია 2020 წელს.

მომზადებულია ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, გახორციელდა კერძო სექტორის შენიშვნების და კომენტარების შეგროვება/ანალიზი. უახლოეს პერიოდში დაიწყება ოფიციალური პროცედურები კანონპროექტის დადგენილი წესით დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტში წარსადგენად.

მომზადებულია საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონპროექტი, რომელიც სრულად ასახავს DCFTA-ით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების ყველა ფაზას, თითოეული ფაზის შესაფერისი ვალდებულებების ეტაპობრივად და შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში ამოქმედებას. კანონპროექტთან დაკავშირებით მიმდინარეობს შიდა სამთავრობო კონსულტაციები.

საჯარო შესყიდვების სფეროს კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ახალი ინსტიტუციური მოწყობის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაზრდილ ხარისხს. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ინტენსიური თემატური კონსულტაციები ევროკომისიის (DG GROW), OECD SIGMA-სა და ევროკავშირის დამმობილების პროგრამის (Twinning) პროექტის კონსულტანტებთან. 2019 წლის დეკემბერში

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.

კონკურენციის სააგენტოში გრძელდება კონკურენციის პოლიტიკის ადვოკატირება, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ინფორმაციული შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება. 2019 წლის განმავლობაში ჩატარდა 22 ღონისძიება. ღონისძიებების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ მოსამართლეები, ადვოკატთა ასოციაციის წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობების, სადაზღვევო და ფარმაცევტული სექტორის, მარეგულირებელი ორგანოების, ბიზნეს ასოციაციების, საკონსულტაციო კომპანიების წარმომადგენლები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიმართულებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ მიერ აქტიურად გრძელდება სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება.

2019 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა ტყის კოდექსის პროექტი. ასევე, ჩატარდა საპარლამენტო კომიტეტის მოსმენები. 2019 წლის ოქტომბერში კანონპროექტი პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა პირველი მოსმენით. ამასთან, შემუშავებულია „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“, „ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ და „ტყის დაცვის, მოვლის და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებების პროექტების პირველადი სამუშაო ვერსიები, რომელთა გადამუშავება ტყის კოდექსთან შესაბამისობაში მოსაყვანად დაიწყება კოდექსის პარლამენტის მიერ მიღების შემდეგ.

თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემა დაწესდა საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი განაგრძობს მუშაობას იმ გემების რაოდენობის გაზრდის მიზნით, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემით. მიმდინარეობს თევზის რესურსის მარაგის და თევზჭერისათვის დასაშვები შესაბამისი კვოტების გაანგარიშების და დადგენის მეთოდოლოგიების დაახლოება ევროკავშირის და GFCM-ის სტანდარტებთან და მოთხოვნებთან.

## 5. ეკონომიკური თანამშრომლობა

წინასწარი შეფასებით, 2019 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 3.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2019 წლის საშუალო რეალური ზრდა 5.2 პროცენტით განისაზღვრა.<sup>1</sup>

<sup>1</sup><https://www.geostat.ge/media/29208/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98->

შემუშავებულ იქნა საკანონმდებლო პაკეტი და ჩატარებულ იქნა საჯარო კონსულტაციები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელშიც ასახულია ასოცირების შეთანხმების XXVIII დანართით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტები საკორპორაციო სამართლის მიმართულებით. საკანონმდებლო პაკეტის წარდგენა საქართველოს პარლამენტში იგეგმება 2020 წელს.

მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება "2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ" მთავრობის ანგარიშზე.

2019 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული აუდიტების 90% ჩატარდა აუდიტის მართვის სისტემის (AMS) გამოყენებით. საერთო ჯამში ჩატარდა: 3 უწყებათშორისი შესაბამისობის აუდიტი, 16 ფინანსური აუდიტი; 42 შესაბამისობის აუდიტი, 15 ეფექტიანობის აუდიტი და 2 IT აუდიტი.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგიის (SNA-2008) დანერგვასთან დაკავშირებით, სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებდა მუშაობას საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და დანიის სტატისტიკის (ტვინინგის პროექტის ფარგლებში) ექსპერტების ჩართულობით. ახალი მეთოდოლოგიით დათვლილი მონაცემები გამოქვეყნდა 2019 წლის 15 ნოემბერს.

გამოქვეყნდა საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემები ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით, დეტალიზებულ 3 ნიშნა დონეზე (ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორის ახალი ვერსიის (BEC Rev.4) მიხედვით). დინამიკური მწკრივი მოიცავს 2000-2019 წლების პერიოდს.

მომზადებულია „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ კანონპროექტი და მიმდინარეობს საპარლამენტო განხილვები.

2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივის, ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ მოთხოვნების შესრულების მიზნით, შემუშავდა „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი

---

[%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1-  
%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-  
%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%2C  
=  
%E1%83%93%E1%83%94%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-2019.pdf](#)

ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მიმდინარეობს კონსულტაციები მისი პარლამენტში ოფიციალური წარდგენის მიზნით.

სადაზღვევო ბროკერების (შუამავლების) საქმიანობის საზედამხედველო ჩარჩოს შემდგომი სრულყოფის მიზნით, საბროკერო (საშუამავლო) საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიმართ მოთხოვნის დადგენის საკითხის გარშემო ცვლილებები შევიდა "დაზღვევის შესახებ" კანონში (03.09.19- №4939) და მიღებულ იქნა სამსახურის უფროსის ბრძანებები: „სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესის, აგრეთვე სადაზღვევო ბროკერის დამფუძნებლისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" (24,12,19 - №40); „სადაზღვევო ბროკერის მიერ დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპისთვის კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალური ოდენობისა და შესაბამისი მოთხოვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" (25,12,19- №34); „სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის დადგენისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ" (25,09,19 - №35 ); „სადაზღვევო ბროკერისათვის შიდა აღრიცხვის მოთხოვნების დადგენის თაობაზე" (25,09,19 - №36 ); „სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დადგენის შესახებ" (27,09,19 №38).

დასრულდა საქართველოში საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიცირებული ანალიტიკოსი აქტუარის (certified Actuarial Analysts - CAA) კვალიფიკაციის მქონე აქტუარების ჯგუფის შექმნის მიზნით აქტუართა გადამზადების საბოლოო ეტაპი (დასკვნითი მესამე გამოცდა ჩააბარა 17-მა კანდიდატმა);

რეგულირებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტებზე ინფორმაციის გამჭვირვალობის მოთხოვნათა პარამონიზაციის შესახებ 2004 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/109/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით მომზადებულია "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებით კანონქვემდებარე აქტების პროექტები (მათ შორის, კანონპროექტის განმარტებითი ბარათი და შესაბამისობის ანალიზი). ცვლილებები ასევე მოიცავს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის (EU) No 596/2014 რეგულაციით (საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ) გათვალისწინებულ საკითხებს. კანონპროექტი 2020 წელს ინიცირებულ იქნა პარლამენტში დასამტკიცებლად.

კანონპროექტი მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილ საწარმოსთან (UCITS) მიმართებაში, კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის შესახებ 2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/65/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით, მომზადებულია "საინვესტიციო ფონდების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც 2020 წელს ინიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტში განხილვებისა და დამტკიცების მიზნით.

2002 წლის 23 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ N2002/65/EC და 2008 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების შესახებ N2008/48/EC დირექტივებთან დაახლოების მიზნით მიღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N151/04 ბრძანება „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“, სადაც ნაწილობრივ არის ასახული დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნები, დანარჩენ ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა, რის საფუძველზეც დასრულებულია შესაბამისობის ანალიზი და მუშავდება ნორმატიული აქტის სამუშაო ვერსია.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ 2018 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში წარედგინა საქართველოს მთავრობას.

USAID-ის პროექტის ”დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ მხარდაჭერით, საერთაშორისო ექსპერტების მიერ გადამზადებული ადგილობრივი შიდა აუდიტორების/ტრენერების ჩართულობით განხორციელდა ტრენინგი „შიდა აუდიტის როლი თაღლითობის აღკვეთასა და თაღლითობის ფაქტის გამოვლენის პროცესში“ ბათუმსა და თბილისში, რის შედეგადაც გადამზადდა 50-მდე შიდა აუდიტორი.

2019 წელს სახელმწიფო და კერძო სექტორის უძრავ-მოდრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ვებგვერდს eauction.ge-ს დაემატა ახალი ფუნქცია, რომელიც გულისხმობს არშემდგარი აუქციონების ავტომატურ, განმეორებით (სამეტაპიანი) გამოცხადებას ვებგვერდზე. აუქციონის ავტომატური რეჟიმის მეშვეობით გამოცხადება ხდება ქონების პირველადი შეფასებით, ხოლო შემდგომი სამი აუქციონი ცხადდება ავტომატურად შესაბამისი ფასდაკლებებით. ახალი ფუნქციის დანერგვის შედეგად აუქციონების მონაცემების ასახვაც ხდება პარალელურად უკვე საწყობის მართვის სისტემაშიც (ERP). ასევე, მომხმარებელთა მოთხოვნებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე დაემატა და დაიხვეწა სხვადასხვა სახის რეპორტი/ფუნქციონალი.

2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ვებგვერდზე eAuction.ge რეგისტრირებულია 102400-ზე მეტი ფიზიკური/იურიდიული რეზიდენტი/არარეზიდენტი პირი. 2019 წლის განმავლობაში ვებგვერდს 8570-მდე პარტნიორი ფიზიკური/იურიდიული პირი შემოუერთდა, საიდანაც 7390-მდე ფიზიკური, ხოლო 1175-მდე იურიდიული პირია. 2019 წლის განმავლობაში ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ გამოცხადებულია 16000-მდე ლოტი. პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობდა ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ღონისძიებათა ხელშეწყობა (ინტერნეტ და საჯარო აუქციონების გამოცხადება, განცხადებების მონიტორინგი, მომხმარებელთათვის ინფორმაციის მიწოდება ცხელი ხაზისა და ონლაინ კონსულტაციის მეშვეობით), ასევე, სოციალურ ქსელებში სააგენტოს სერვისების (აუქციონი, e-მაღაზია) პოპულარიზაცია.



## 6. თანამშრომლობის სხვა სფეროები

### 6.1 ტრანსპორტი

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/59/EC დირექტივასთან (ნავსადგურში გემების მიერ გენერირებული და ტვირთების ნარჩენების მიმღები მოწყობილობების შესახებ) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, საზღვაო სააგენტოს მიერ მომზადდა სააგენტოს დირექტორის ბრძანების პროექტი "საქართველოს ნავსადგურებში გემებიდან ნარჩენების ჩაბარების მიზნით ნავსადგურის მიმღები მოწყობილობებით უზრუნველყოფის წესების დამტკიცების შესახებ", მიმდინარეობს უწყებრივი განხილვები.

საბჭოს 1999/63/EC დირექტივასთან (რომელიც ეხება "მეზღვაურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ" შეთანხმებას) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ინიცირებულია "საზღვაო შრომის კონვენცია 2006"-თან შეერთება, რომლის შესაბამისად, დაინერგება აღნიშნული დირექტივა, აგრეთვე, მომზადებულია "მეზღვაურთა დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი, სადაც გათვალისწინებულია აღნიშნული დირექტივა/რეგულაციის მოთხოვნები. ამჟამად, მიმდინარეობს კანონის შიდა უწყებრივი განხილვა.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/45/EC დირექტივასთან (სამგზავრო გემების უსაფრთხოების წესებისა და სტანდარტების შესახებ) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, 2019 წლის 18 დეკემბერს მიღებულ იქნა №10 ბრძანება „სამგზავრო გემების უსაფრთხოების წესებისა და სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ.

სამოქალაქო აეროდრომებზე საავიაციო უშიშროების მიმართ დადგენილი სტანდარტული მოთხოვნებისგან გამონაკლისის დადგენის შესახებ, ევროპის პარლამენტის და საბჭოს N1254/2009 რეგულაციის (რომელიც აწესებს კრიტერიუმს წვერი სახელმწიფოებისათვის სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების ერთიანი ძირითადი სტანდარტების უფლებელყოფისა და უსაფრთხოების ალტერნატიული ღონისძიებების მიღების უფლების მისაცემად) მოთხოვნებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა რეგულაციის დანერგვაზე, რაც აისახება სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 30 დეკემბრის N267 ბრძანებაში.

ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/373 რეგულაციით გათვალისწინებულ სააერონოსო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების მოთხოვნებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, დამტკიცებულია სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N119 ბრძანება „სააერონოსო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“.



საბჭოს 2000 წლის 27 ნოემბრის N2000/79 დირექტივასთან (ევროპის სამოქალაქო ავიაციის სფეროში მობილური მუშაკების სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, დირექტივის მოთხოვნები ასახულია სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის N168 ბრძანებაში, რომელიც ძალაში შედის 2021 წლის 1 ოქტომბრიდან.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 15 ივლისის N2003/59/EC დირექტივასთან (ტვირთის გადაზიდვისა ან მგზავრთა გადაყვანის მიზნით გარკვეული სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების თავდაპირველი კვალიფიკაციისა და პერიოდული ტრენინგების შესახებ) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, მძღოლთა პრაქტიკული მომზადებისათვის საჭირო ტრენინგ-ცენტრის საპროექტო სამუშაოები დასრულებულია.

ევროპარლამენტისა და საბჭოს N913/2010 რეგულაციასთან (კონკურენტული ტვირთისთვის ევროპული სარკინიგზო ქსელის თაობაზე) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, აღნიშნული რეგულაციის დეტალური შესწავლისა და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება აუცილებელი არ არის. რეგულაცია შესაძლებელია ჩაითვალოს შესრულებულად, ვინაიდან საქართველო მონაწილეობს რამდენიმე საერთაშორისო სარკინიგზო დერეფანში, რომელთა წევრებიც ასევე არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები (მაგალითად, TRACECA, TITR, Viking).

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 24 სექტემბრის N2008/68/EC დირექტივასთან (სახიფათო ტვირთების შიდა სახმელეთო გადაზიდვის შესახებ) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, საერთაშორისო და შიდა გადაზიდვებში ჩართული ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 თებერვლის N89 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი - „სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე, რომელიც ეფუძნება 2008/68/EC დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ შიდა გადაზიდვებზე ხსენებული ტექნიკური რეგლამენტი გავრცელდა 1-ლი სექტემბრიდან. ასევე, მომზადდა სარკინიგზო კოდექსის ცვლილების პროექტი, რომლის თანახმად განისაზღვრა „რკინიგზის საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის“ დამტკიცების ვადები და კომპეტენტური ორგანო.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 23 ოქტომბრის N1370/2007 რეგულაციასთან (რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის სახელმწიფო მომსახურების შესახებ) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის პროექტი ინიცირებულია და მიმდინარეობს მისი განხილვა პარლამენტში.

2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N1071/2009 რეგულაციის (რომელიც ადგენს ავტოსატრანსპორტო ოპერატორის დასაქმების მიზნით შესასრულებელი პირობების შესახებ საერთო წესებს) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ა) ბ) გ) და დ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, მომზადებულია ნორმატიული

აქტის პროექტი, რომელიც ეფუძნება 1071/2009 რეგულაციის მოთხოვნებს (საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ კანონში ცვლილებების შესახებ).

2006 წლის 20 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/126/EC დირექტივასთან (მართვის მოწმობის შესახებ) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა თანმდევ კანონებში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც განსახილველად გაგზავნილია საქართველოს პარლამენტში.

## 6.2 თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 20 დეკემბერს დამტკიცდა:

- ✓ „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ კანონი;
- ✓ "განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ" კანონი;
- ✓ "ენერგეტიკისა და წყალმომარაგების" შესახებ კანონი.

მომზადდა „ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონის პროექტი ევროკავშირის 2012/27/EU დირექტივის შესაბამისად, რომელიც წარედგინა პარლამენტს 2019 წლის ნოემბერში.

2019 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ მიიღო ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმა 2019-2020 წლებისთვის.

2019 წლის 3 ოქტომბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ დამტკიცდა განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

სემეკის 2019 წლის 22 ნოემბრის №27 დადგენილებით დამტკიცდა ინვესტიციების შეფასების წესი. ინვესტიციების შეფასების წესის მიზანია განსაზღვროს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული ლიცენზიატების საინვესტიციო გეგმებისა და მათი შემადგენელი საინვესტიციო პროექტების შემუშავების, წარდგენის, შეფასების, დამტკიცების, მონიტორინგისა და მათში ცვლილების შეტანის ძირითადი პრინციპები და კრიტერიუმები.

ასევე, 2019 წლის 23 ოქტომბერს დამტკიცდა დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი, რომელიც განსაზღვრავს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორის ლიცენზიატების, ასევე ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების სატარიფო რეგულირებისას განსახორციელებელი დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესსა და პრინციპებს.

სემეკის 2019 წლის 22 ნოემბრის №28 დადგენილებით დამტკიცდა ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის წესი. აღნიშნული წესის მიზანია ენერგეტიკულ ბაზრებზე კონკურენტული, თავისუფალი, გამჭვირვალე და სამართლიანი ვაჭრობის მარეგულირებელი ეფექტიანი

მექანიზმების შექმნა და ქსელის ოპერატორების ეფექტიანი რეგულირება, აგრეთვე, რეგიონულ დონეზე ბაზრების ინტეგრირებისა და ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა.

### 6.3 გარემოს დაცვა

მომზადებულია "წყლის რესურსების მართვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვერსია, რომელიც საქართველოს პარლამენტს წარედგინება 2020 წლის პირველ ნახევარში.

„სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები გაგზავნილია სამთავრობო უწყებებში შესათანხმებლად.

მუშავდება “ბიომრავალფეროვნების შესახებ” კანონპროექტის საბოლოო ვერსია, 2019 წლის დეკემბერში ჩატარდა კანონის 4 საჯარო განხილვა, ამჟამად, მიმდინარეობს საჯარო განხილვების დროს მიღებული კომენტარების ასახვა, შესაბამისად, აქტივობის შესრულებამ გადაიწია 2020 წლისთვის.

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი მომზადებულია, ამჟამად, მიმდინარეობს უწყებებიდან მიღებული შენიშვნების განხილვა და შესაბამისად, მათი ასახვა კანონის პროექტში. "ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების გარემოსდაცვითი დებულებების განხორციელების ხელშეწყობა" - პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს მუშაობა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებზე. მომზადდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პირველადი სამუშაო პროექტები ინგლისურ ენაზე.

მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ და დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტში. კანონპროექტი მიღებულია მეორე მოსმენით.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის და მისი გაუმჯობესებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მოსახლეობისთვის დროული და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, შექმნილია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ვებ-პორტალი: [air.gov.ge](http://air.gov.ge), სადაც ხელმისაწვდომია უახლესი ინფორმაცია, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, ისე მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ.

2019 წლის დეკემბერში, ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის 39-ე მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ დამტკიცდა საქართველოს ზურმუხტის 7 კანდიდატი ტერიტორია.

შემუშავებულია “გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესის” სამუშაო ვერსია. სხვადასხვა უწყებისგან (12 უწყება) მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების (ჯამში 43) ასახვის მდგომარეობა აღწერილია შენიშვნების ფურცელში. მიღებულია დამატებითი შენიშვნები და წინადადებები, მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტის საბოლოო სახის ფორმირებისთვის, შენიშვნების ფურცლის განახლება და ახალ კომენტარებთან შესაბამისობაში მოყვანა. საბოლოო დოკუმენტი გადაეგზავნება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად.

ზღვის გარემოსა და ბიომრავალფეროვნების კვლევის მიზნით, საზღვაო გარემოს სტატუსის რეგულარული შეფასების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ყოველთვიურად ხორციელდებოდა სავსე ექსპედიციები შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს მონიტორინგის 4 მუდმივ სადგურზე ბაქტერიოლოგიური და ჰიდრობიოლოგიური სინჯების ასაღებად. 2019 წლის განმავლობაში აღებულია სულ 228 სინჯი, მათ შორის 96 ბაქტერიოლოგიური და 132 ჰიდრობიოლოგიური (48 ფიტოპლანქტონის, 48 ზოოპლანქტონის, 18 მაკროფიტობენტოსის და 18 მაკროზოობენტოსის სინჯები). დამუშავდა მონიტორინგული კვლევების შესახებ ინფორმაცია და მომზადდა კვარტალური ბიულეტენები, რომლებიც საფუძვლად დაედება საზღვაო გარემოს სტატუსის შეფასების ანგარიშს.

"ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის" (EUWI+) პროექტის ფარგლებში, შავი ზღვის საქართველოს სანაპიროსა და გარდამავალი წყლის ობიექტების ეკოლოგიური სტატუსის განსაზღვრის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა კვლევის ორი ეტაპი (მესამე ეტაპი დაგეგმილია 2020 წელს). შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს დელინეაციის რუკის მიხედვით, სარფი-ქობულეთის აკვატორიაში გამოყოფილია 7 სანაპირო და ერთი გარდამავალი წყლის სხეული; აღებულ იქნა 75-მდე ფიტოპლანქტონის, 16 ზოოპლანქტონის, 30 ბენტოსის სინჯი, რომელთა საფუძველზე განხორციელდება ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის და საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნათა შესაბამისად თითოეული წყლის ობიექტის ეკოლოგიური სტატუსის განსაზღვრა.

ასევე, "ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუსის" პროექტის ფარგლებში მომზადებულია ანგარიშები ალაზანი-იორის და ხრამი-დებედას სააუზო უბნების მახასიათებლების შესახებ.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა კლიმატის ცვლილებისადმი "ადაპტაციის ეროვნული გეგმის" საპროექტო წინადადება კლიმატის მწვანე ფონდში წარსადგენად, მიმდინარეობს მუშაობა პროექტის საბოლოო ბიუჯეტზე.

ევროკავშირისა და შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს პროექტი - „რადიოაქტიური ნარჩენების მართვა საქართველოში“. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული რადიოაქტიური ნარჩენების ერთად თავმოყრას და შემდგომ მათი უსაფრთხოების კონტროლს. პროექტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, შემუშავდა რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტების ძირითადი ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნები.

"საქართველოში რადიოაქტიური ნარჩენების მოპყრობის ობიექტების განთავსებისათვის ადგილის შერჩევის შესახებ" სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 21 ნოემბერს, მიიღო № 2408 განკარგულება, რომლის მიხედვითაც რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტების (რადიოაქტიური ნარჩენების საცავი, რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი) შესაძლო განთავსების ადგილად შეირჩა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სააკაძის მიმდებარე ტერიტორია.

#### 6.4 სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება

2019 წელს, აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში, გაიცა 16,473 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ფართობი შეადგენს 13,852 ჰა-ს. დაზღვეული მოსავლის ღირებულება - 114, 538, 610 ლარს. სააგენტოს წილი სადაზღვევო პრემიაში შეადგენს 5, 846, 204 ლარს.

2019 წელს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ბანკების მიერ გაცემულ იქნა 357,026,176 ლარის 5,118 სესხი. დაფინანსდა 73 ახალი, ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება.

2019 წელს ახალ გახსნილ საწარმოებში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების, სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 22000:2005-ის დანერგვის მიზნით გაფორმდა ორი ახალი ხელშეკრულება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში, 2019 წელს დამტკიცდა 6 პროექტი გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 8,331,530 ლარი, საიდანაც თანადაფინანსება შეადგენს - 3,205,680 ლარს. შემნახველ საწარმოთა კომპონენტში დამტკიცდა 19 პროექტი, ჯამური ღირებულებით 22,052,553 ლარი, საიდანაც თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 9,726,323 ლარს. საანგარიშო პერიოდში დასრულდა 7 გადამამუშავებელი და 10 შემნახველი საწარმოს შექმნა.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, დამტკიცებულია 2,099 ჰა-ზე გასაშენებელი 303 ბაღის პროექტი, ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა - 24,370,834 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა 13,353,566 ლარით. სანერგე მეურნეობების გასაშენებელი/დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 1.45 ჰა-ს, ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა - 295,898 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა 147,949 ლარით, დამტკიცდა ერთი პროექტი. პროგრამის „დანერგე მომავალი“ კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში დამტკიცებულია 197 განაცხადი. გაშენებული ფართობი შეადგენს 68 ჰა-ს. სააგენტოს დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 2,535,888 ლარი.



ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, ხელშეკრულება გაუფორმდა 5 ბენეფიციარს, სარეაბილიტაციო პლანტაციების ფართობი შეადგენს 59 ჰექტარს. რეაბილიტაციის ჯამური ღირებულება - 148,583 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 96,537 ლარს.

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამის (IFAD) ფარგლებში, პირველადი წარმოების კომპონენტში დამტკიცდა 151 განაცხადი, პროექტების ჯამური ინვესტიცია შეადგენს - 8,964,709 ლარს, საიდანაც თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 3,468,899 ლარი. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების კომპონენტში დამტკიცდა 5 განაცხადი, პროექტების ჯამური ინვესტიცია შეადგენს - 2,025,764 ლარს, საიდანაც თანადაფინანსების მოცულობაა - 810,305 ლარი. მათ შორის 24 პროექტი დაუმტკიცდა 24 ქალ ბენეფიციარს.

2019 წელს რძის პროგრამაში რეგისტრაცია გაიარა 3-მა კოოპერატივმა. მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში (მთავრობის 34-ე დადგენილება) რეგისტრაცია გაიარა 8 კოოპერატივმა, რომელთაგან, 2-მა კოოპერატივმა მიიღო ჯამურად 497,734 ლარი. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სამოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სამმა კოოპერატივმა მიიღო თანადაფინანსება, სასოფლო-სამეურნეო მისაბმელი ტექნიკის შესაძენად. ჯამურად 178,440 ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოში განხორციელდა რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც სააგენტოს ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი მოვალეობების აღსრულება, მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, დაევალა ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“.

მეწარმეების დახმარების პროექტის ფარგლებში კანონმდებლობის მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით - საგაზაფხულო კამპანიების დროს, ცხოველთა მფლობელებისათვის დასარიგებლად გამზადდა და სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ სამმართველოებს გადაეცათ ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციასთან დაკავშირებით 100 000 (ასი ათასი) ცალი საინფორმაციო ბუკლეტი, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

„ახალგაზრდა მეწარმე“ - სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გაფორმდა 100 ხელშეკრულება, მათ შორის, ხელშეკრულება გაუფორმდა 39 ქალ ბენეფიციარს. პროექტების ჯამური ინვესტიცია შეადგენს 8,822,382 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა - 3,498,460 ლარი.

## 6.5 დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები

2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომლის საფუძველზეც გაფართოვდა აღნიშნული კანონის მოქმედების სფერო. 2019 წლის 1 სექტემბრიდან რეგულაციები ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგის მიმართ. აგრეთვე, ზედამხედველ ორგანო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, სასამართლოს ნებართვისა და წინასწარი შეტყობინების გარეშე განახორციელოს შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმება; გამკაცრდა პასუხისმგებლობის ზომები ზედამხედველი ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლისა და სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ.

საქართველოს პარლამენტში 2019 წლის 19 თებერვალს დამტკიცდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“; საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“; საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ და საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. ცვლილებები ითვალისწინებს პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, განათლების, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში; ადგენს აკრძალვას პირისთვის მითითების მიცემის შემთხვევაში, განახორციელოს მესამე პირის მიმართ დისკრიმინაცია და დამსაქმებლის ვალდებულებას დაიცვას პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, არამართო შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობებში, არამედ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებშიც, რაც გულისხმობს ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისა და გასაუბრების ეტაპზე დისკრიმინაციის დაუშვებლობას რაიმე ნიშნით; დაზუსტდა შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების ცნებები არსებულ კანონმდებლობაში, ასევე აღნიშნული ტერმინების განმარტებები დაემატა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონს.

2019 წელს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა“ წარმატებით დაასრულა 2457-მა ბენეფიციარმა, (თბილისის მასშტაბით 1202, რეგიონებში - 1255). 2019 წელს, აღნიშნული პროგრამის მოსარგებლეთაგან დასაქმებულია 437 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, 12 შშმ პირი. ამასთანავე, ამავე პროგრამის 2018 წლის კურსდამთავრებულთაგან 2019 წელს დასაქმდა - 319 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 4 შშმ პირი.

2019 სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში ჩაერთო 25 დამსაქმებელი (თბილისი - 5 დამსაქმებელი, რეგიონები - 20 დამსაქმებელი) და 98 სტაჟიორი (თბილისი - 19 სტაჟიორი, რეგიონები - 79 სტაჟიორი) პროგრამაში ჩართული სტაჟიორებიდან, პროგრამის ფარგლებში დასაქმდა - 42 მოსარგებლე, მათ შორის, 6 შშმ პირი.

სულ, 2019 წელს, „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 797 მოსარგებლე, აქედან 22 შშმ პირი.

2019 წელს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 479 დევნილი; „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამაში“ ჩაერთო 200 დევნილი და „დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში 222 დევნილ სტუდენტს აუნაზღაურდა ტრანსპორტირების ხარჯი;

2019 წელს დასაფინანსებლად შერჩეულ იქნა 64 დევნილი ოჯახი, რომლებსაც გრანტის სახით გადაეცემათ ძირითადი საშუალებები (ტექნიკა-დანადგარი, სახელობო იარაღი). ასევე, 15 დევნილი ოჯახისთვის მოეწყო 15 სასათბურე მეურნეობა. 2019 წლის აპრილში ჩატარდა წინა წლის ბენეფიციართა კვლევა პროგრამის ეფექტიანობის შეფასების მიზნით. გამოვლინდა, რომ დაფინანსებულთა 75%-ს ყოველთვიური შემოსავალი გაეზარდათ საშუალოდ 100-დან 1000 ლარამდე.

„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის“ (საშუამავლო მომსახურების გაწევის კომპონენტის) ფარგლებში, 2019 წლის განმავლობაში ჩატარდა დასაქმების 10 ფორუმი: 5 - თბილისში, 5 - რეგიონებში. მათ შორის ერთი გახლდათ დასაქმების ფორუმი შშმ პირებისათვის (რომელიც ჩატარდა 2019 წლის 19 აპრილს), სადაც მონაწილეობა მიიღო 20 დამსაქმებელმა და 71 შშმ პირმა. სულ ფორუმებში მონაწილეობა მიიღო 280 დამსაქმებელმა და 1567 სამუშაოს მაძიებელმა. დამსაქმებლებმა წარმოადგინეს 5000-ზე მეტი აქტიური ვაკანსია სხვადასხვა სფეროდან, მათ შორის: მომსახურების, გაყიდვების, სამშენებლო, ტურიზმის და სხვა სფეროებიდან. მიმდინარეობს უკუკავშირის მონიტორინგი.

2019 წელს ჩატარებული ფორუმების შედეგად დასაქმებულია 83 სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის, 19 შშმ პირი. 2019 წელს, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში 915 დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი იქნა 10 403 ვაკანტური სამუშაო ადგილი. საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 499 სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის, შშმ პირი 22;

სულ მხარდაჭერით დასაქმების ფარგლებში გაწეული სერვისის შედეგად დასაქმდა – 33 შშმ პირი; სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო და შემდგომ დასაქმდა - 3 სამუშაო მაძიებელი, მათ შორის 2 შშმ პირი. სულ, 2019 წელს, დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის ფარგლებში დასაქმდა 618 სამუშაოს მაძიებელი, აქედან 76 შშმ პირი.

დასაქმებისა და აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის გაძლიერებასთან ერთად, საქართველოს მოქალაქეების შრომითი/ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს. ამ მიმართულებით, 2019 წლის 30 სექტემბერს, ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ“. აგრეთვე, 2020 წლის 17 იანვარს ხელი მოეწერა შეთანხმებას „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ“. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაოები შეთანხმების განხორციელების ოქმზე.

საანგარიშო პერიოდში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში დასაქმებული იყო 40 ინსპექტორი, რომელთა რიცხვი 2020 წლის დასაწყისში 100-მდე გაიზარდა. დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 1575 ინსპექტირება და რეინსპექტირება, მათ შორის: „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, 1264 ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების გამოსწორებამდე)- 558 ობიექტზე; შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად - 150 ინსპექტირება, 150 ობიექტზე, მათ შორის 19 კომპანიის 107 ობიექტი შემოწმდა შრომითი უფლებების მიმართულებით; იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის შესაბამისად - 127 ინსპექტირება, 127 ობიექტზე; საწარმოო უბედური შემთხვევის მოკვლევისთვის - 35 ინსპექტირება. 2019 წელს შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნის მიზნით ზედამხედველობა შეეხო დაახლოებით 90 000 დასაქმებულს, რაც წინა წლის მაჩვენებელს 9-ჯერ აღემატება.

სულ, 2019 წელს ჩატარებული ინსპექტირების შედეგად, გამოვლინდა 4806 დარღვევა. პირველი გაფრთხილების შემდგომ, გონივრული ვადის გასვლისთანავე განმეორებითი ინსპექტირების შედეგად 127 საწარმოში სრულად იქნა გამოსწორებული დარღვევები, ხოლო 202 საწარმო შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისთვის დაჯარიმდა. გარდა აღნიშნულისა, სამუშაო პროცესის შეჩერების გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე სასამართლოს მიემართა 117 შემთხვევისას, მათ შორის 92 ობიექტში უსაფრთხოების ნორმების კრიტიკული დარღვევის, ხოლო 20 ობიექტზე მომხდარი საწარმოო უბედური შემთხვევის გამო, შეჩერდა სამუშაო პროცესი, ხოლო დანარჩენ 5 ობიექტზე განხორციელდა ინსპექტირება.

2019 წლის აპრილში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარდა პირველი სერტიფიცირებული (საერთაშორისო) ტრენინგი შრომითი მედიატორებისთვის საერთაშორისო სასწავლო ცენტრის- ITC/ILO- ტრენინგების მონაწილეობით.

2019 წლის 30 დეკემბერს დამტკიცდა საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული 2019-2023 წლების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა 2019-2021. სტრატეგია ასახავს კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს შრომისა და დასაქმების, შრომითი მიგრაციის, განათლების, გენდერული თანასწორობის, სოციალური დაცვის და სამეწარმეო-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით და წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ხედვას აღნიშნულ სფეროებში მომდევნო 5 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სისტემური და სტრატეგიული რეფორმების შესახებ.

2019 წლის 1 ნოემბერს ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომა შპს „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“-ს მმართველობაში არსებული ქ. ტყიბულის მინდელის სახელობის შახტაში შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული მდგომარეობის თაობაზე. მხარეებმა მოიწონეს აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით წარმოდგენილი ანგარიში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის 6 შეხვედრა. შეხვედრებზე განხილულ იქნა შრომისა და დასაქმების სტრატეგიის პროექტი და სხვადასხვა აქტების, მათ შორის, მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტები.

2019 წელს ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური პარტნიორობის ტერიტორიული სამმხრივი კომისიის 3 სხდომა - 15 მარტს, 14 ივნისს და 27 სექტემბერს.

2019 წლის მდგომარებით, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 2105 დევნილი ოჯახი; დახურულია სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი 31 ობიექტი, საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 351 დევნილი ოჯახი; დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემულია 812 საცხოვრებელი ფართი; დევნილთა ჩასახლების ადგილებში შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის საკუთრებაში გადაცემულია 12 ობიექტში განთავსებული საერთო სარგებლობის ფართი; დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათ საკუთრებაში არსებულ 9 ობიექტზე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები; გადაუდებელ შემთხვევაში 7895 იძულებით გადაადგილებული პირისთვის გაწეულია ერთჯერადი ფულადი დახმარება და დროებითი საცხოვრებელით უზრუნველყოფილია 1557 ოჯახი.

2019 წელს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, დაემატა 2 მობილური ჯგუფი ქ. თბილისსა და ქ. რუსთავეში (სულ 2019 წელს - 6 მობილური ჯგუფი); 2019 წლის ივნისის მდგომარეობით, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, კონტაქტი დამყარდა 428 მიუსაფარ ბავშვთან, მომსახურებით ისარგებლა 259 ბენეფიციარმა, მათ შორის დღის ცენტრით - 183 ბავშვმა, ხოლო თავშესაფრით - 76 არასრულწლოვანმა.

ალტერნატიულ სერვისებში გადაყვანისას, ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ქ. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლიდან 2019 წელს ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა 15 ბავშვი, 2019 წლის მდგომარეობით თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში იმყოფება 55 ბავშვი.

## 6.6. სამოქალაქო უსაფრთხოება

საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2019 წლის 11 ივლისს.

2019 წლის გაზაფხულზე DG ECHO-სა და UCPM-ის ექსპერტთა შემფასებელი/მრჩეველთა მისია გაეცნო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებს, სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემას, შეაფასა მეხანძრე-მაშველთა სასწავლო ცენტრის შესაძლებლობები. ვიზიტის შედეგად ექსპერტებმა მოამზადეს განვითარების რეკომენდაციები.



განახლების პროცესშია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული 5 წლიანი ინსტიტუციური განვითარების გეგმა.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა 2018 წლის 13 ივლისს კატასტროფების რისკის მართვის სფეროში DG ECHO-სთან გაფორმებული ადმინისტრაციული შეთანხმების შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხმდება DG ECHO-სთან, რის შემდგომაც მოხდება მისი დამტკიცება.

### 6.7 ჯანმრთელობის დაცვა

2019 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ანტიმიკრობული რეზისტენტობის ზედამხედველობის (CAESAR-ის) ქსელში ჩართულია ქვეყნის წამყვანი 23 მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით ახორციელებენ ნოზოკომიური ინფექციების გამომწვევი პათოგენების იდენტიფიცირებას, ასევე ანტიმიკრობული რეზისტენტობის მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებასა და CAESAR ქსელში ინფორმაციის შეტანას. მიკრობიოლოგებს ჩაუტარდათ ტრენინგები EUCAST-ის რეკომენდაციებისა და ხარისხის შიდა და გარე კონტროლის პროგრამის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით, 25 სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები ანტიბიოტიკების გამოყენების, სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების და ანტიმიკრობული რეზისტენტობის ერთმომენტური პრევალენტობის კვლევის დიზაინისა და მონაცემთა ანალიზის შესახებ. აგრეთვე, 14 მულტიპროფილურ, რეფერალურ დაწესებულებაში ჩატარდა ანტიბიოტიკების გამოყენების, სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების და ანტიმიკრობული რეზისტენტობის ერთმომენტური პრევალენტობის პილოტური კვლევა.

2015 წლის მარტში დაიწყო C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში ხორციელდება C ჰეპატიტით ინფიცირებული პირების გამოვლენა მათი მკურნალობის სქემებში ჩართვის მიზნით. 2019 წლის მდგომარეობით, C ჰეპატიტზე გამოკვლეულია 578 833 ბენეფიციარი, მათგან საექვო/დადებითი აღმოჩნდა 21 256 (3,67%). ევროკავშირის დამმობილების პროექტის - „სისხლის უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები პარტნიორ ქვეყნებთან - ლიეტუვასა და ჰოლანდიასთან, პროექტი დაიწყო 2020 წლის 15 იანვრიდან.

ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიმართულებით დირექტივების იმპლემენტაციის მიზნით, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში.

2019 წლის 21-25 იანვარს ჩატარდა სასწავლო ტური ხორვატიაში, რომელიც ითვალისწინებდა ხორვატიის გამოცდილების გაზიარებას ორგანოთა გადანერგვის მიმართულებით.

მომზადდა ორი კანონპროექტის - „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ და „უჯრედებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ“ - პირველადი ვერსიები და TAIEX-ის ექსპერტული მისიის ფარგლებში განხორციელდა მათი ექსპერტიზა. ექსპერტული მისიის რეკომენდაციით, დაიწყო მუშაობა რეპროდუქციული ტექნოლოგიების შესახებ კანონპროექტზე.

2019 წლის მაისში შემუშავდა თამბაქოს კონტროლის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლებული ვერსიები, რომლებიც გადაგზავნილია თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო კომისიის წევრ სამინისტროებში განსახილველად. ახალი კანონმდებლობის განხორციელებაზე მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის და სხვა დონორი პროექტების ფარგლებში, რაც მოიცავს მუდმივ მონიტორინგს, ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს, თამბაქოს კონტროლის სხვადასხვა პოლიტიკაზე მუშაობას და კვლევების განხორციელებას.

## **6.8 თანამშრომლობა ინოვაციის სფეროში**

შემუშავებულია საქართველოს ინოვაციების სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი.

მიმდინარეობს ბათუმის ინოვაციების ჰაბის სარემონტო სამუშაოები.

ელექტრონული ბიზნესის მიმართულებით რეგიონებში 785 მეწარმემ გაიარა ტრენინგი ციფრულ წიგნიერებაში (BFD კომპონენტი).

ინოვაციებისა და მეცნიერების პოპულარიზაციისთვის ტექნოპარკის ბაზაზე ჩატარდა 154 ღონისძიება ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებითა და თანაორგანიზებით, რომელსაც დაახლოებით 3000 ადამიანი დაესწრო. ჯამურად მედია საშუალებებში გავიდა 974 გადაცემა:

- ტელევიზია - 85- მდე გადაცემა;
- ინტერნეტ-მედია - 300- მდე ინტერნეტ-გამოცემა;
- ბეჭდვითი მედია - 21;
- რადიო -12;
- სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელდა 60 ვიდეო ნიუსი.

გამოცხადებული ორი 100 000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტის ფარგლებში დაფინანსდა 56 ბენეფიციარი; დამატებით გამოცხადდა 100 000 და 650 000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტები. მცირე საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა სულ 124 პროექტი. პროტოტიპის მიმართულებით - 27, სამგზავრო - 80, ღონისძიების-17.

ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებში სტარტაპების ხელშეწყობ ღონისძიებებში (გამოფენები, კონფერენციები, სემინარები) ქართული სტარტაპების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, მცირე საგრანტო კონკურსის ფარგლებში სამგზავრო გრანტის ხელშეწყობით 80 ბენეფიციარი დაესწრო 41 სხვადასხვა ღონისძიებას, მათ შორის: Startup Grind Global Conference; Techstars Berlin Accelerator Mentorship, Wolvessummit, Seedsars World Summit, Global Meetup 2019 - Berlin, Creative Business Cup 2019. ასევე, თანადაფინანსების გრანტების პროექტის პარალელურად, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით, შემუშავდა პროგრამა და 8 სტარტაპი გაემგზავრება ევროპაში სასწავლო ვიზიტზე; აშშ-ს საელჩოსთან ერთად შემუშავებული პროგრამის ფარგლებში 3 სტარტაპი გაემგზავრა აშშ-ში სასწავლო ვიზიტზე; ავსტრიის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით 12 სტარტაპი გაემგზავრა ვენასა და გრაცში სასწავლო ვიზიტზე.

## 6.9 თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში

2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს (უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივასთან (2002/22/EC), პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივასთან (2002/58/EC), ავტორიზაციის შესახებ დირექტივასთან (2002/20/EC), დაშვების შესახებ დირექტივასთან (2002/19/EC) და ჩარჩო დირექტივასთან (2009/140/EC) დაახლოების მიზნით მომზადებულია ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, განხორციელდა კერძო სექტორის შენიშვნების და კომენტარების შეგროვება/ანალიზი და უახლოეს პერიოდში დაიწყება ოფიციალური პროცედურები კანონპროექტის დადგენილი წესით დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტში წარსადგენად.

## 6.10 ტურიზმი

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2019 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამართულ შემდეგ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში: Ferien-Messe - ვენა, ავსტრია; Vakantiebeurs - უტრეხტი, ნიდერლანდების სამეფო; MATKA - ჰელსინკი, ფინეთი; FITUR - მადრიდი, ესპანეთი; Balttour - რიგა, ლატვია; ITB - ბერლინი, გერმანია; IMEX - გერმანია, ქ. ფრანკფურტი; Adventure Travel Trade Association 2019 (ATWS) - გოთენბურგი, შვედეთი; Top Resa - პარიზი, საფრანგეთი; WYSTC - ლისაბონი, პორტუგალია; Stockholm Food and Wine - სტოლკჰოლმი, შვედეთი; TTG - რიმინი, იტალია; IBTM - ესპანეთი, ქ. ბარსელონა; TT WARSAW - ვარშავა, პოლონეთი; Goexpo Winter - ჰელსინკი, ფინეთი.

ამავდროულად, წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა სახის მარკეტინგული კამპანია. სატელევიზიო მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, Bloomberg-სა და CNN-თან თანამშრომლობით მომზადდა საპრომოციო ვიდეო-რგოლები, საქართველოსადმი მიძღვნილ გვერდზე განთავსდა სტატია, ფოტო-გალერეა, მოძრავი და სტატისტიკური ბანერი. CNN-ზე

გატარდა 20 კვირიანი კამპანია, რომლის ფარგლებშიც, არხზე გავიდა საქართველოს ზაფხულის და ზამთრის სეზონის საპრომოციო 30 წამიანი ვიდეო-რგოლი, ასევე, მომზადდა საქართველოსადმი მიძღვნილი თემატური გვერდი CNN Travel-ზე. ინტერნეტ მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, რეკლამა განთავსდა Bloomer-ზე, National Geographic-ზე, Conde Nast Traveler-ზე. სხვადასხვა ქვეყანაში ინტერნეტ-კამპანია ჩატარდა შემდეგ პლატფორმებზე - Travelport, Expedia, TripAdvisor, Süddeutsche Zeitung, Lonely, Planet, YouTube True View, Facebook; გამოყენებულ იქნა ციფრული მედია არხები Instagram, Google Search, Google Display, YouTube, ადგილობრივი ვებ-გვერდები, რეიტინგული ტელევიზია, ჩატარდა გარე რეკლამა, პრეს-ტური;

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2019 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან უმასპინძლა 68 პრეს და გაცნობით ტურს, რომლის ფარგლებში ინფორმაცია მიეწოდა 330-მდე სტუმარს.

### **6.11 ხალხთა შორის კონტაქტები, განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საანგარიშო პერიოდში მოიპოვა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) სრული წევრის სტატუსი, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში მინიჭებული კვალიფიკაციებისა და გაცემული დიპლომების თავისუფალ და შეუფერხებელ აღიარებას, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისადმი სანდოობის ამაღლებას, საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებას ევროპულ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებთან და ასევე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორისო მობილობას.

შემუშავდა საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის პროექტი, რომელიც 2020 წელს წარედგინება პარლამენტს. ასევე მომზადდა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და „მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგია“.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.

2019 წლის 29 მაისს გამოიცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №99/ნ ბრძანება პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ.

მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელებისა და ფორმალიზების მიზნით, შემუშავდა და დამტკიცდა შესაბამისი სამართლებრივი აქტები: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილება; განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანება, 2 აპრილის N67/ნ, 10 აპრილის N 71/ნ და 19 აპრილის N498 ბრძანებები.

2019 წლის მაისიდან პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა პარტნიორ კომპანიებთან ერთად დაიწყეს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელება სამშენებლო და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით.

2019 წელს, დამტკიცდა 63 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს 90-მდე პროფესიულ კვალიფიკაციას. ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შესულია ევროპარლამენტისა და საბჭოს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ძირითადი უნარების 8 საკვანძო კომპეტენციის განმავითარებელი მოდულები ან აღნიშნული კომპეტენციები ინტეგრირებულია დარგობრივ პროფესიულ მოდულებში. 2019 წლიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად გადავიდნენ მოდულურ სწავლებაზე, რომლის სავალდებულო კომპონენტსაც წარმოადგენს საკვანძო კომპეტენციები.

დამტკიცდა არაფორმალური განათლების აღიარების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდება არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის მხარდაჭერა და კოორდინაცია.

2019 წლის მდგომარეობით, ჰორიზონტი 2020 პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში, საქართველოს მონაწილეობით გაკეთებულ 306 საპროექტო წინადადებიდან, გაიმარჯვა 37-მა პროექტმა, რომლებმაც მიიღეს დაფინანსება ევროკავშირის მხრიდან ჯამში 3,637,140.00 ევროს ოდენობით.

2019 წლის სექტემბერში საქართველო ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია EURAXESS-ის წევრი გახდა, რაც ქართველ მეცნიერებს საშუალებას აძლევს ჰქონდეთ პირდაპირი წვდომა მსოფლიოს 500-ზე მეტ საერთაშორისო და შიდა ეროვნულ სამეცნიერო ფონდების გრანტებთან; 15 000-ზე მეტ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და კვლევებით დაინტერესებულ ბიზნესთან; 40-ზე მეტი ქვეყნის რამდენიმე მილიარდი ევროს ოდენობის ფინანსურ რესურსზე.

2019 წლის მდგომარეობით, Erasmus+ International Credit Mobility პროგრამით საქართველო მსოფლიოს 141 ქვეყანას შორის მე-6 ადგილზეა. საანგარიშო პერიოდში, ქართველო უნივერსიტეტების მონაწილეობით, პროგრამის ფარგლებში ექვსი ახალი პროექტი დაფინანსდა. ასევე 40-მა საქართველოს მოქალაქემ მიიღო Erasmus Mundus Joint Master Degree Scholarship, რაც აქამდე არსებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია - საქართველო შედის მსოფლიოს ქვეყნების პირველ ოცეულში აღნიშნული სტიპენდიების მიხედვით. 2019 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, საქართველოდან ევროპაში გასული სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობა შეადგენს - 1109-ს, საქართველოში შემოსული სტუდენტები და პერსონალისა კი, - 699 -ს.



2019 წელს დაფინანსდა ევროკავშირის „Jean Monnet“ პროგრამის 7 პროექტი, რაც საუკეთესო შედეგია საქართველოში პროგრამაში მონაწილეობის ფარგლებში.

2019 წლის 16 სექტემბერს, ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი, იოჰანეს ჰანის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ევროპული სკოლის შენობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ინაუგურაციის საზეიმო ღონისძიება; ევროკომისარმა აგრეთვე მოინახულა „ახალი სკოლის“ ბაზაზე აშენებული სტუდენტების საერთო საცხოვრებელი.

სამინისტრომ დაიწყო თანამშრომლობის ახალი ეტაპი (სამუშაოების მეორე ფაზა) საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციასთან „აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის“ აკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებით. 2019-2020 სასწავლო წლისთვის სასტიპენდიო პროგრამაზე შეირჩა 35 ყველაზე წარმატებული კანდიდატი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან.

„ევროპული სკოლის საზაფხულო ბანაკი 2018-2020“ პროექტის ფარგლებში, 2019 წლის საზაფხულო ბანაკში (16-30 აგვისტოს პერიოდში) ჩაერთო 100 ახალგაზრდა შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი, ბელარუსი, სომხეთი, უკრაინა, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ირლანდია, ლატვია, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო და საქართველო.

პროგრამა eTwinning plus-ის ონლაინ სისტემაში მასწავლებელთა რაოდენობის გასაზრდელად 2019 წლის აპრილის თვეში გამოცხადდა პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია. პროგრამას შეუერთდა 230 მასწავლებელი 173 სკოლიდან. 2019 წლის ბოლოსთვის პროგრამაში რეგისტრირებული იყო 1200 მასწავლებელი 668 სკოლიდან. პორტალზე აქტიური იყო 378 პროექტი. 43 პროექტს მიენიჭა ეროვნული ხარისხის ნიშანი, ხოლო 29 პროექტს - ევროპის ხარისხის ნიშანი.

ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ ფარგლებში გაიმართა 17 ადგილობრივი ღონისძიება, მათ შორის 3 შეხვედრა რეგიონში (ბათუმი, თელავი, წნორი), ხოლო შემოქმედებითი ევროპის „დესკის“ თანაორგანიზებით/მონაწილეობით ასევე გაიმართა 7 საერთაშორისო ღონისძიება, რომელსაც დაესწრო 900-მდე ადამიანი.

2019 წელს პროგრამის ფარგლებში საქართველოს მონაწილეობის სტატისტიკა შემდეგია: ქვეპროგრამა მედია: 6 წარდგენილი პროექტი საქართველოს მონაწილეობით, 1 წარმატებული (CineDoc Tbilisi International Film Festival ); ქვეპროგრამა კულტურა: 10 წარდგენილი პროექტი საქართველოს მონაწილეობით, 5 წარმატებული (Vaso Abashidze Music and Drama State Theatre; One Caucasus; Georgian Arts and Culture Center; Agora Ltd, KLIO Publishing). i-portunus call.

შემოქმედებითი ევროპის ბენეფიციარების მხარდაჭერის კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 5 პროექტი: თბილისის არქიტექტურის ბიენალე (42 გრადუსი); BE MUSEUMER (მუზეუმების

ასოციაცია); ძველი იდეების ახალი ლექსიკონი (აბრეშუმის მუზეუმი); opera(e)studio (ოპერა); Create to connect - Create to impact (საზოგადოებრივი ხელოვნების პლატფორმა).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ახალგაზრდობის სააგენტო“ ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავების, განხორციელებისა და კოორდინაციის მიზნით. აღნიშნული ინიციატივა ემსახურება მთავრობასა და ახალგაზრდობას შორის კავშირისა და ახალგაზრდების მიმართ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გაძლიერებას. ახალი სააგენტო რამდენიმე უწყების: ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის – ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის შერწყმის შედეგად შეიქმნა.

#### **6.12 რეგიონული განვითარება**

"2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის" განხორციელების მხარდაჭერის მონიტორინგის ქმედითი სისტემის დანერგვით, მომზადდა რეგიონული განვითარების 2018-2021 წლების პროგრამის 2018 წლის განხორციელების კონსოლიდირებული ანგარიში.

მომზადდა და 2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა 2019-2021 წლების საქართველოს საპილოტე რეგიონების (4 საპილოტე რეგიონი) განვითარების პროგრამა.

მომზადდა იმერეთის რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი. დაიწყო რეგიონული (იმერეთი) ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები, თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო სამუშაოები შეჩერებულია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს განხილვები ნაგავსაყრელის ახალ ლოკაციასთან დაკავშირებით.

#### **7. ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი**

სახელმწიფო უწყებებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან ერთად იდენტიფიცირებულ იქნა ევროკავშირის დახმარების 2019 წლის სამოქმედო გეგმის შემდეგი პრიორიტეტები: ადამიანის უფლებების დაცვა, რეგიონული განვითარება, სოფლის მეურნეობა.

2019 წლის აპრილში, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების 2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ დახმარების პროგრამის საფინანსო შეთანხმებას "საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა", რომლის ფარგლებშიც საქართველო ევროკავშირისგან 35 მილიონამდე ევროს ოდენობის ფინანსურ და ექსპერტულ დახმარებას მიიღებს. 2019 წლის 11 ივლისს, ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ორ საფინანსო შეთანხმებას (ევროკავშირის დახმარების 2018 წლის

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული დახმარების პროგრამების საფინანსო შეთანხმებები "უსაფრთხოებისა და კანონის უზენაესობის გაძლიერება" და "ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური პოლიტიკის მხარდაჭერა") რომლის ფარგლებში საქართველო ევროკავშირისგან 47 მილიონამდე ევროს ოდენობის ფინანსურ დახმარებას მიიღებს.

2019 წლის 1 მარტს გამართულ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომაზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოში ევროკავშირის ფინანსური დახმარების განხორციელების პროცესში თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის კოორდინაციისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების თაობაზე. ევროპული ქვეყნების გამოცდილების შესწავლისა და ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად, განისაზღვრა სამუშაო ჯგუფის შემდეგი შემადგენლობა: გენერალური პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და სახელმწიფო აუდიტის სამსახური. სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა 2019 წლის 30 აპრილს.

2019 წლის 27 ივნისს, გაიმართა ვიდეო-კონფერენცია ევროკავშირის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისისა (OLAF) და საქართველოში ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლების მონაწილეობით. ვიდეო-კონფერენციაზე განხილულ იქნა ასოცირების შეთანხმების ვალდებულების შესაბამისად, „ევროპის გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ“ ევროკავშირის კონვენციისა და აღნიშნული კონვენციის ოქმების დებულებებთან საქართველოს კანონმდებლობის აპროქსიმაციის კუთხით არსებული მდგომარეობა.

"ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" კანონპროექტი შემუშავებულია. დამატებით, twinning-ის პროექტის ფარგლებში გამოვლინდა ის ძირითადი საკითხები, რაც საჭიროებს დამატებითი ცვლილებების განხორციელებას ქვეყნის კანონმდებლობაში. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA), რომლის შედეგების გათვალისწინებით უახლოეს მომავალში იგეგმება შესაბამისი ზომების მიღება/წარმოდგენილ წინადადებებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენა შემდგომი სამართლებრივი პროცესების განხორციელების მიზნით.

"ზოგიერთი კატეგორიის საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგებების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების და დაკავშირებული ანგარიშების შესახებ" 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივასთან (რომელიც ცვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/43/EC დირექტივას და აუქმებს საბჭოს 78/660/EEC და 83/349/EEC დირექტივებს) დაახლოების მიზნით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ჩატარდა მმართველობის ანგარიშგების შესახებ - 3 პრეზენტაცია, მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესახებ - 10 პრეზენტაცია, დარიგდა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაბეჭდილი 1500 წიგნი.

განხორციელდა აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის 30 პროცესი, 8 - მიმდინარეა.

## 8. ინსტიტუციური თანამშრომლობა

### 8.1 ინსტიტუციური ჩარჩო

2019 წლის 5 მარტს ქ. ბრიუსელში, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მე-5 სხდომა. შეხვედრაზე მხარეები მიესალმნენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის წარმატებულ თანამშრომლობას და კიდევ ერთხელ დაადასტურეს მზაობა, ხელი შეუწყონ ევროკავშირთან საქართველოს უფრო ღრმა პოლიტიკური ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას. ორივე მხარემ აღიარა საქართველოს ევროპული მისწრაფებები, ევროპული არჩევანი და საერთო მიზანი, გააგრძელოს დემოკრატიული, სტაბილური და წარმატებული ქვეყნის მშენებლობა. ასოცირების საბჭომ ცნობად მიიღო საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა (RoadMap2EU), რომელიც მიზნად ისახავს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში არსებული რეფორმების კონსოლიდაციას, მომავალი გეგმების განსაზღვრას და მათ შორის ასოცირების მიღმა ევროკავშირთან ამბიციური ინტეგრაციის მიზნით ღონისძიებების დასახვას.

2019 წლის 28 მარტს სტრასბურგში გაიმართა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის მორიგი სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული გამოწვევები და საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა. ევროპარლამენტარებმა მხარდაჭერა გამოხატეს საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივისადმი "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ".

2019 წლის 23 მაისს, ქ. თბილისში გაიმართა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის რიგით მე-12 შეხვედრა. შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, დიალოგის 2018 წლის 25 აპრილს გამართული შეხვედრის შემდგომ პერიოდში გატარებული ღონისძიებები. ევროკავშირის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს ამ კუთხით საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი მთელი რიგი მიმართულებებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმების გაძლიერების, ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის, ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკისა და უმცირესობათა უფლებების დაცვის, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის, ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან ბრძოლის, ბავშვთა უფლებების დაცვის, შრომითი უფლებების უზრუნველყოფის, ასევე წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აღკვეთის კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ მძიმე ვითარებას. შეხვედრის ბოლოს მხარეების მიერ მიღებული იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

18 ივნისს ქ. თბილისში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეხუთე სხდომა გაიმართა. სხდომაზე მხარეებმა მიმოიხილეს ასოცირების შეთანხმების შესაბამისად ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები. კომიტეტზე განხილულ იქნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ევროკავშირის ჩართულობა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის პროცესში, ასევე მხარეებს შორის თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობები უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში. შეხვედრისას განხილულ იქნა საქართველოში ევროკავშირის მიმდინარე, ასევე დაგეგმილი დახმარების პროგრამები. სხდომაზე მხარეებმა მიმოიხილეს ეკონომიკური და სექტორული თანამშრომლობის საკითხები. ევროკავშირმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა, განსაკუთრებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით.

25 ოქტომბერს, თბილისში საქართველოსა და ევროკავშირს შორის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის რიგით მესამე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საგარეო პოლიტიკის საკითხების ფართო სპექტრი, რეგიონში არსებული ვითარება და უსაფრთხოების კუთხით გამოწვევები, საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობა.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის 6 თემატური ჯგუფის შეხვედრა:

- 2019 წლის 21 თებერვალს, ქ. ბრიუსელში გაიმართა მე-6 თემატური ჯგუფის - „დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები; საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ - რიგით მეოთხე სხდომა;
- 2019 წლის 3 აპრილს, ქ. თბილისში გაიმართა მე-5 თემატური ჯგუფის - „სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება; მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა; რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე“ - რიგით მეოთხე სხდომა;
- 2019 წლის 4 აპრილს, ქ. თბილისში გაიმართა მე-4 თემატური ჯგუფის - „თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში; თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში; თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში; განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა; კულტურის სფეროში თანამშრომლობა; თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში“ - რიგით მეოთხე სხდომა;
- 2019 წლის 13 მაისს ქ. თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის პირველი თემატური ჯგუფის - „ეკონომიკური დიალოგი, საჯარო ფინანსების მართვა და ფინანსური კონტროლი; სტატისტიკა; ფინანსური მომსახურება; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი“ რიგით მეოთხე სხდომა;



- 2019 წლის 5 ივნისს, ქ. თბილისში გაიმართა: მე-2 თემატური ჯგუფის - „სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა; ტურიზმი; კორპორაციული სამართალი და კორპორაციული მმართველობა; მომხმარებელთა პოლიტიკა; საგადასახადო პოლიტიკა“ - რიგით მეოთხე სხდომა;
- 2019 წლის 15 ოქტომბერს, ქ. თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-3 თემატური ჯგუფის - „ენერგეტიკა, გარემო, კლიმატი, ტრანსპორტი და სამოქალაქო დაცვა“ რიგით მე-5 სხდომა.

## 8.2 სტრატეგიული კომუნიკაცია

2019 წლის განმავლობაში გრძელდებოდა „2017-2020 წლებისთვის ევროკავშირისა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ განხორციელების კოორდინაცია. დასრულდა მუშაობა 2019 წლის შუალედურ ანგარიშზე და დაიწყო მუშაობა სტრატეგიის 2019 წლის ანგარიშისა და 2020 წლის სამოქმედო გეგმის მომზადებაზე.

2019 წლის პირველი 6 თვის პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ-ის "საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" ორგანიზებით, საქართველოსა და ევროკავშირის შორის უვიზო მიმოსვლის წესების და უფლებების შესახებ 44 საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შედეგად, 7709 ადამიანმა პირდაპირი კომუნიკაციის გზით მიიღო ინფორმაცია. საინფორმაციო კამპანია 2018 წლის მარტიდან დაიწყო და საქართველოს ყველა რეგიონში ეტაპობრივად ხორციელდება.

ყოველწლიური ღონისძიებათა ციკლი „ევროპის დღეები“ 2019 წელს მეშვიდედ ჩატარდა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საინფორმაციო ცენტრმა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ 5-25 მაისს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 100-მდე ღონისძიება გამართა. ღონისძიებები აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის იუბილეს ეძღვნებოდა და მათ 11 306 ადამიანი დაესწრო.

2019 წლის მაისში ჩატარებული აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველი პლატფორმის (ინსტიტუციების გაძლიერება და კარგი მმართველობა) უსაფრთხოების, ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა და სამოქალაქო თავდაცვის მე-12 შეხვედრის ფორმატის ფარგლებში, 7-8 ოქტომბერს წარმატებით ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სტრატეგიული კომუნიკაციების მორიგი სამუშაო შეხვედრა საქართველოში.

2019 წლის 11-12 ივლისს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ბათუმის მე-16 საერთაშორისო კონფერენცია - "საქართველოს ევროპული გზა" გაიმართა. კონფერენცია უპრეცედენტო იყო თავის მასშტაბით და მასში 600-მდე სტუმარი იღებდა მონაწილეობას. კონფერენციის მონაწილეები განიხილავდნენ ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების საერთო გამოწვევებს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ, როგორც

ევროკავშირის, ასევე პარტნიორი ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირები, აკადემიური წრეების, არასამთავრობო სექტორისა და ბიზნესის წარმომადგენლები.

### 8.3 სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა

ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის სამოქმედო გეგმისა და 'საგზაო რუკის' შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები. მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა 2019 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.

29 მარტს ქ. თბილისში სასტუმროში „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი“ გაიმართა მაღალი დონის კონფერენცია „ახლოს ხალხთან – უფრო ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება“. აღნიშნული კონფერენცია იმართება წელიწადში ერთხელ. მის ჩატარებას საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის, 2015 წლის 13 ნოემბერს გაფორმებული თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი ითვალისწინებს.

წლის განმავლობაში, საგარეო უწყების ხელშეწყობით გაიმართა შეხვედრები აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ პლატფორმაში გაწევრიანებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საქართველოს საჯარო მოხელეებს შორის დარგობრივ საკითხებზე: საპენსიო რეფორმის განხორციელება (01.08.2019), საგანგებო სიტუაციების მართვა (21.08.2019), აუდიო-ვიზუალური მედიის შესახებ ევრო-დირექტივასთან თავსებადობისა და მისი ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა (18.10.2019), გარემოს დაცვის და კლიმატის საკითხები (28.11.2019) და ენერგეტიკულ საკითხები (12.02.2020). მსგავსი ხასიათის შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.